საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

შაბათი, 4 დეკემბერი 1920 წ.

ერთობა

ფასი 20 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში 500 მანეთი. ცალკე ნომერი ყველგან 20 მანეთი, განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 20 მანეთი მეოთხე გვერდზე 15 მანეთი, სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის (10 × 2) 500 მანეთი. ნისიათ განცხადება არ დაიბეჭდება, რედაქცია და კანტორა იმყოფება ერთობის ქ. № 4, შესახვევი რუსთაველის ქუჩის № 18-თან, რედაქციის ტელეფონი 14—79, კანტორის 16—62

№ 277 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 277

ქიზიყ-კახეთის სავაჭრო-სამრეწველო და სასოფლო სამეურნეო ბანკის

(ქ. სიღნაღში) საორგანიზაციო კომიტეტი ამით აცხადებს, რომ ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრომ ამ წლის 19 ნოემბერს ხსენებულ ბანკის წესდება დაამტკიცა. ძირითადი თანხა ბანკისა პირველ ხანად არის განსაზღვრული 20 (ოცი) მილიონი მანეთით, თითო აქცია ღირს ათასი (1000) მანეთი ხუთი აქცია იძლევა ერთი ხმის უფლებას. ხელის მოწერის დროს უნდა იქნეს შემოტანილი აქციის ღირებულების ნახევარი (500 მანეთი) და საორგანიზაციო ხარჯების დასაფარავად ერთ დროულად ასი (100) მანეთი აქციაზე, ხელის მოწერა მიიღება: 1920 წლის დეკემბრის 6 ორშაბათი, 7 სამშაბათი, 8 ოთხშაბათი, 9 ხუთშაბათი, 10 პარასკევი და 11 შაბათი, ქალაქ სიღნაღში: საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში ქალაქ თფ ლისში: ცენტრობანკში (პუშკინის ქ. № 3) და ალზიორაში (პლეხანოვის პრ. № 5). სოფ. გურჯაანში, ველისციხეში, ჯუგაანში, და ქვემო მაჩხაანში საკრედიტო ამხანაგობებში.

საორგანიზაციო კომიტეტი ამითვე აცხადებს, რომ

აქციონერთა პირველი დამფუძნებელი კრება

დანიშნულია 26 დეკემბერს 1920 წ. სიღნაღის ახალ კლუბის დარბაზში ნაშუადღევის 12 საათზე.

განსახილველი საკითხები:

1. საორგანიზაციო კომიტეტის მოხსენება.
2. სიღნაღის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისაგან აქტივისა და პასივის მიღება.
3. 1921 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება.
4. არჩევნები საბჭოს გამგეობისა და სარევიზიო კომისიისა.
5. მიმდინარე საკითხები.

(3874—1—1)

„ქიზიყ-კახეთის" საორგანიზაციო კომიტეტი.

საქართველოს სოც.-დემ. მუშათა პარტიის

ცენტრალური კომიტეტი

მოთავსებულია ერთობის ქ. № 4. მესამე სართული, შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18. ტელ. 11—79.

მშობლები—მამა და ერმილე და ძმები—სიმონ და ზაქარია შარაშიძეები, და თინა და სიძე პროკოფი დოლიძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ოთხშაბათს, დეკემბრის 1-ს უდროოთ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

ილიკო შარაშიძე

მიცვალებულის ცხედარს გამოასვენებენ კვირას, დეკემბრის 5 ს, შუადღის 12 საათზე, საკუთარ ბინიდან—შერემეტიევის ქ. № 46 (დიდუბე) და დაკრძალავენ წმ. ნინოს სასაფლაოზე. (ნ. 3—2)

შალვა, დავითი, ქრისტინე შარაშიძეები და თამარ ქარცივაძისა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ თავისი ბიძაშვილის

ილიკო შარაშიძის

უდროო გარდაცვალებას. გამოსვენება—კვირას, დეკემბრის 5-ს შუადღის 12 საათზე საკუთარ ბინიდან—დიდუბე. შერემეტიევის ქუჩა № 46.—დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე. (უ 2—2)

ალექსანდრე ვაშაკიძე აცნობებს ნათესავებს და ამხანაგებს რომ მოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა არამიანცის საავადმყოფოში

ბესარიონ გლახუას ძე ვაშაკიძე

გამოსვენების დრო ცალკე იქნება გამოცხადებული. (3866 2—2)

გულდამწუხრებული მშობლები; ილია და სურმული და ძმები ვარლამ შალიკო და ლონგინოზი მწუხარებით აუწყებენ. ნათესავთ და ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ამ წლის 1 დეკემბერს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ მუცლის ტიფით უდროვოთ გარდაიცვალა მათი საყვარელი ძვირფასი და დაუვიწყარი

ლიუბა ილიას ასული ყიფიანისა

დაკრძალვა მოხდება სოფელ. ბოსტანში (რაჭის მაზრა) მთავარ ანგელოზის ეკლესიაში ოთხშაბათს 8 დეკემბერს. (3878—2—1)

გულდათუთქული მეუღლე ოლია გრიგორის ასული კობიძისა მწუხარებით აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ, რომ მისთვის საყვარელი, უდროოთ, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვლილ მეუღლისა მემანქანე

ნიკიფორე თეოდორის ძე კობიძე

ორმოცი დღ[illegible]ის პანაშვიდს, რომელიც იქნება გადახდილი კვირას, 5 დეკემბერს დღ[illegible]ის 10 ს. მეორე მისიონერების ეკლესიაში, კუთხე სურ[illegible]ის და ბატარეის ქუჩა. (3877—1—1)

თამარა გიორგიძე ბოკე[illegible]რიას ასული გეგენავასი აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ რომ 5 დეკე[illegible]ბერს დღის 1 საათზე ქვაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში გარდახ[illegible]ილ იქნება ორმოცი დღის პანაშვიდი დაუვიწ[illegible]არი მეუღლის

პავლუშა გეგენავას

სულის მოსახსენებლად. (3873—2—1)

სახელმწიფო დრამის თეატრი

ქართული დრამის სეზონი 1920—1921 წ.

დღეს, დეკემბრის 4-ს

მეხუთეჯერ **გუშინდელნი** მეხუთეჯერ

რეჟისორი მიხ. ქორელი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ხვალ, დეკემბრის 5-ს

მესამეჯერ **ზღვასთან** მესამეჯერ

რეჟ. მიხ. ქორელი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

სამშაბათს, დეკემბრის 7-ს

მეოთხეჯერ **უგვირგვინო მეფენი** მეოთხეჯერ

ხუთშაბათს, დეკემბრის 9-ს

პირველად **ბერდო-ზმანია** პირველად

4 დეკემბრისათვის („ბერდო-ზმანია") აღებული ბილეთები გამოდგება 9 დეკემბრის წარმოდგენისათვის. (ნ. 1—1)

კვირას, 5 დეკემბერს

ქალთა და ბავშვთა დამცველი საზოგადოება, ი. ი. ჟორდანიის თავმჯდომარეობით მართავს გაზ. „საქართველოს" ბინაზე (ყოფ. „ფრასკატი")

ლოტორეიას-ალეგრი

უმთავრესი მოგება. შეშა ფქვილი, მანუფაქტურა, ქოთმები, სკამები და სხვა. (3876—2—1)

დაიბეჭდა და გამოვიდა გასაყიდათ

კარლ კაუცკის ახალი წიგნი

სოციალიზმის პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში

თარგმანი გერმანულ ხელნაწერიდან

გამოცემა ს. ს.-დ. მ. პ. ცენტ. კომიტეტისა.

წიგნი ღირს 70 მ. წიგნების შეძენა შეიძლება გაზ. „ერთობის" კანტორაში.

მუშათა ორგანიზაციები რომლებიც თითონ წაიღებენ რედაქციიდან არა ნაკლებ ათი ცალისა წიგნი დაეთმობათ 20%.

მიმდინარე წლის 10 დეკემბერს, პარასკევს, დილის 10 საათზე, მიწათ-მოქმედების სამინისტროს შენობაში (რუსთაველის პროსპექტი, მთავრობის სასახლე) გაიხსნება

რესპუბ. სამაზრო ერობათა წარმ. კრება

განსახილველი საკითხები: 1920 წლის მოქმედების ანგარიში საადგილ-მამულო რეფორმის გატარების საქმეში და 1921 წლისათვის სამუშაო გეგმის გამომუშავება. დელეგატებს სთხოვენ დანიშნულ დროზე გამოცხადდენ კრებაზე. (ნ. 2—1)

მეორე ქართული კლუბი

დღეს შაბათს

სინემატოგრაფი

დასაწყისი სრულ 8 საათზე საღამო. (ნ. 1—1)

„კომუნისტური გადატრიალება" სომხეთში

მეტად მნიშვნელოვანი და დამაფიქრებელია ის ამბები, რომლებიც მოდის ჩვენი მეზობელ რესპუბლიკიდან—სომხეთიდან. ვერავინ ვერ გვისაყვედურებს იმას, რომ სომხეთში გაბატონებულ პარტიისადმი—დაშნაკცუთიუნისადმი—ჩვენ როდისმე ნაზი გრძნობით ვყოფილიყავით გამსჭვალული. ამ პარტიის მთელს პოლიტიკას ჩვენ მუდამ დამღუპველად ვთვლიდით სომხეთისთვის და სომეხ ხალხისთვის. ჩვენ ვიზიარებთ იმას, რასაც ამბობს კომუნისტური პრესა დაშნაკელების „დამღუპველობის" შესახებ, და სრულებითაც არ ვფიქრობთ ამ პარტიის პოლიტიკის დამცველობას და გამართლებას. მაგრამ მიუხედავათ იმ უარყოფისა, რომლითაც ჩვენ ამ პარტიას მუდამ ვეცქეროდით, ჩვენ მაინც იმ აზრისა ვართ, რომ დემოკრატიულის თვალსაზრისით დაუშვებელი და მიუტევებელი იქნება სომეხ ხალხისთვის სხვა რომელიმე პარტიის ხელმძღვანელობის ძალდატანებით თავს მოხვევა. ათჯერ და ასჯერ დაუშვებელია და მიუტევებელია ეს ძალდატანება, თუ იგი გარეშე ძალებისმხრით მოდის, თუ მას უცხო სახელმწიფოდან მოსული ჯარი აწარმოებს.

ჯერ დელიჟანში და შემდეგ ერევანში მომხდარი „სახელმწიფო გადატრიალება", რომლის შესახებაც ასეთის ზეიმის და გამარჯვების კილოთი ცნობა მოგვაწოდა საბჭოთა რუსეთის პრესამ, ამნაირი ძალდატანების ყველა ნიშნები ატყვია. ეს გარეშე ძალდატანება ხდებოდა დღეიდან „წითელი არმიის" შემოსვლისა ადერბეიჯანში. მას შემდეგ „წითელი არმიის" ნაწილები განუწყვეტლივ თავს იყრიდენ ყაზახის მაზრაში, დელიჟანს ახლოს. „წითელი არმია" გამუდმებით თავს ესხმოდა და ომის გამოუცხადებლად ომს უტეხდა სომხეთს ხან ყარაბაღ-ზანგეზურში, ხან ყაზახის მაზრაში, ხან ნახიჩევანში. ეს არმია მოქმედებდა ოსმალთა ჯარებთან ხელიხელ ჩაკიდებული. ქემალ-ფაშის ჯარების სომხეთზე შეტევის დროს წითელმა არმიამ სომხეთს წაართვა ნახიჩევანი და ოსმალთა ჯარს გადასცა. თვით დელიჟანი, რომლის გლეხობამაც დღეს სომხეთში პირველად აფრიალა „კომუნისტური ინტერნაციონალის" დროშა, რამდენჯერმე ხელიდან-ხელში გადადიოდა. ხან „წითელი არმია" იჭერდა მას, ხან სომხეთის ჯარი უკანვე იბრუნებდა. იმ დროს, როდესაც სომხეთი უკანასკნელს ძალს იკრებდა ოსმალთა ჯარებთან საბრძოლველად, როცა მას წაართვეს ყარსი, ალექსანდროპოლი, და შიდა სომხეთი, დიდი ნაწილი, „წითელი არმია" სომხეთის საზღვრებზე მის ჯარის ზურგს უკან იდგა თავმოყრილი და ხელსაყრელს წამს ელოდა, რომ სომხეთი უომრად დაეპყრა. და დღეს მან დრო იხელთა...

კომუნისტებს სურთ ქვეყანას მოაჩვენონ, რომ დელიჟანში მომხდარი ამბები თვით სომეხ ხალხის მოძრაობა და სხვა არაფერი. „ანარქიით აღშფოთებულმა დელიჟანის და ქარავან-სარაის რაიონის გლეხებმა აჯანყების დროშა აღმართეს, სტიქიური მოძრაობის ხელმძღვანელობა ხელთ აიღო კომუნისტურმა პარტიამ"—ასე აუწყებენ „აჯანყებულ კომუნისტ-გლეხთა" მეთაურნი საბჭ. რუსეთის მისიას თფილისში. უკვე ზემოთ მოყვანილი ფაქტები, ის „ევოლიუციები" და სამხედრო მოქმედებები, რომელსაც საბჭოთა რუსეთის ჯარები ეწეოდენ დელიჟანის კრიპში, აშკარად გვიჩვენებენ, რომ აქ საქმე გვაქვს არა „აჯანყებასთან", არა „შინაურ გადატრიალებასთან", არამედ დაპყრობასთან. კარზე მომდგარმა „წითელმა არმიამ" მოითხოვა ეს უმწეოდ დატოვებულ დელიჟანის განაწამებ მოსახლეობისაგან, და ამ უკულტურო, შეუგნებელმა და „წითელი ჯარების" მუქარით შეშინებულმა ხალხმა თავი „კომუნისტათ" აღიარა. აი არსება იმ ამბებისა, რაც დელიჟანში მოხდა. ეს უკეთეს შემთხვევაში—თუ ეს გადატრიალება არ მოხდა „წითელი არმიის" შესვლის შემდეგ დელიჟანში.

ამნაირია დელიჟანის მეცხვარე გლეხობის „გაკომუნისტების" ისტორია. ძნელი მხოლოდ დაწყებაა. მთელი სომხეთის დაპყრობა „წითელი არმიის" მიერ სულ ადვილად უნდა მომხდარიყო. „აჯანყებულთა" და „გაკომუნისტებულ" დელიჟნის მეცხვარეთა სახელით ბ-ნი კასიანი პირდაპირ იწვევს „წითელ არმიას მთელი სომხეთის დასაპყრობათ". „ვასრულებთ რა მეამბოხეთა ნებასურვილს, სწერს ის საბჭოთა რუსეთის მისიას, შეუდრეკელად მივიწევთ წინ და ვიმედოვნებთ, რომ აღმოსავლეთის დაჩაგრული ხალხთა განმათავისუფლებელი ჩვენი ძველი მესვეურის—დიდი სოციალისტური რუსეთის—წითელი არმია ამ ძნელ ბრძოლაში რეალურ დახმარებას გაგვიწევს". და ის „სახელმწიფო გადატრიალება", რომელიც, უკანასკნელ წამში მოსული ცნობით,—ერევანშიაც მომხდარა, რა თქმა უნდა, ამ „წითელი არმიის რეალურ დახმარებას" უნდა მიეწეროს. ოსმალთა ჯარების შემოსევისაგან განაწამები და ღონე მიხდილი სომხეთი დაიპყრო საბჭოთა რუსეთის „წითელმა არმიამ". აი ჭეშმარიტი ვითარება იმის, რაც სომხეთში მოხდა. ამნაირათ განხორციელდა ის გეგმა, რომლითაც ადერბეიჯანში მოსვლის შემდეგ საბჭოთა რუსეთის ჯარები სომხეთის საზღვრებს მიადგნენ და რომელსაც დაჟინებით, თუმცა თვალთმაქცურათ, ახორციელებდენ საბჭოთა რუსეთის მოღვაწენი ამიერ-კავკასიაში: ეს გეგმა იყო—სომხეთისა,—როგორც დამოუკიდებელი რესპუბლიკის ამოშლა ამიერ-კავკასიის ქარტიდან. დღეს ეს მიზანი მიღწეულია: ნაწილი სომხეთისა უპყრია ქემალის სარდლობას, ნაწილი კი—საბჭოთა რუსეთს.

სომხეთ-საბერძნეთი და ოსმალეთი

(საერთაშორისო მდგომარეობიდან)

ამ უკანასკნელ დღეებში საერთაშორისო მდგომარეობაში მოხდა მეტად დიდი მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლის შედეგების დაახლოვებით გათვალისწინებაც მეტად საჭიროა.

საბერძნეთში უკანასკნელი საპარლამენტო არჩევნების დროს [illegible] ვენიზელოსის მომხრეები და გაიმარჯვენ ყოფილ მეფე კონსტანტინეს თანამოაზრეებმა. მსოფლიო ომის დროს საბერძნეთის ხალხი გაიყო ორ ნაწილად. ერთი, ვენიზელოსის მეთაურობით, მოითხოვდა ომში ჩარევას და მოკავშირეებთან შეერთებას. მეორე, ყოფილ მეფე კონსტანტინეს მეთაურობით, ცენტრალურ სახელმწიფოებისადმი და განსაკუთრებით გერმანიისადმი მეგობრული გრძნობით იყო გამსჭვალული და ნეიტრალიტეტს იცავდა. ამ შეხლა-შემოხლის დროს კონსტანტინეს პარტია დამარცხდა და ვენიზელოსმა გაიმარჯვა. საინტერესოა ვიცოდეთ, თუ რომელ წრეებს ეყრდნობოდა ვენიზელოსი? ეს იყო უმთავრესად ქალაქები და იქ გაფანტული ვაჭრები. ეს წრე დაკავშირებული იყო თავისი პროფესიით მოკავშირეთა სახელმწიფოებთან. მეორე მხრივ, საბერძნეთის უმთავრესი სავაჭრო ცენტრები ზღვის ნაპირად მდებარეობენ, ხოლო ზღვაში ბატონობდა მოკავშირეთა ფლოტი და მასგან იყო დამოკიდებული საბერძნეთის მთელი ვაჭრობა აღებ-მიცემობა. სხვათა შორის ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ ოსმალეთში იყო გაბნეული ბერძენთა კოლონიები, რომელნიც უმთავრესად ვაჭრობას ეწეოდენ, ხოლო მოკავშირეები ებრძოდენ ოსმალეთს და ამნაირად ვენიზელოსის მომხრეებს უღვიძებდენ ოსმალეთის დამარცხების შემდეგ ამ კოლონიებში სრული გაბატონების მადას. მეფე კონსტანტინეს მომხრეები ეყრდნობოდენ უმთავრესად გლეხობას, რომელნიც ასეთი დიდი და ფართო დაპყრობის გეგმას ვერ ეგუებოდენ. ოსმალეთის შორეულ კუთხეების (ბერძენთა კოლონიების) დაპყრობაზედ ნაკლებ ფიქრობდენ და როგორც „კეთილი ბიურგერები" მშვიდობიან ცხოვრების მოტრფიალენი იყვნენ. ამ წრეებში მაშინ ფეხი ჰქონდა მოკიდებული ლეგენდას გერმანიის უდიდეს და უძლეველ ძალის შესახებ. ამ შეხლა-შემოხლის დროს პირველად აჯანყდა ქალაქი სალონიკი, რომელიც არა მარტო იდეურად, არამედ მატერიალურადაც მოკავშირეთა ფლოტის გავლენის ქვეშ იყო. ამ ქალაქში გამაგრებულმა ვენიზელოსმა შესძლო კონსტანტინეს განდევნა ათენიდან და საბერძნეთი მოკავშირეებთან ბრძოლაში ჩაება.

მსოფლიო ომი მოკავშირეთა გამარჯვებით დასრულდა. ნადავლის დაყოფის დროს საბერძნეთმა დიდი მოგება ნახა. ეს იყო თითქმის სავსებით ოსმალეთის ხარჯით, ვენიზელოსისათვის მეტად ხელსაყრელს სევრის ხელშეკრულებას ცხოვრებაში გატარება უნდოდა. როგორც მკითხველებმა იციან, ოსმალეთის ხალხის დიდი ნაწილი ვერ შეურიგდა ამ განაჩენს და იარაღით ხელში წინააღუდგა მის განხორციელებას. ოსმალეთის დამარცხება მიენდო ვენიზელოსის მთავრობას და ეს მან იკისრა. მოახდინა ჯარების მობილიზაცია და მცირე აზიაში შეიჭრა. ჩვენთვის აშკარა იყო, რომ სევრში გამარჯვებული ვენიზელოსი სმირნაში დამარცხდებოდა. [illegible]

თუ სევრის ხელშეკრულების ერთი მონაწილე [illegible]

[illegible]

დამფუძნებელი კრება

1 დეკემბრის სხდომა.

ნ. ურუშაძის სიტყვა *).

მოქალაქენო! წინა სხდომაზე საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარემ [illegible]

---

*) სტენოგრაფიული ანგარიშიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს

გაზ. „პრავდა"-ს ცნობით რუსეთის ბურჟუაზია, რეაქციონერების დამარცხების შემდეგ, დემოკრატიული ფრონტის შექმნის გზით ცდილობს საბჭოთა მთავრობის დამარცხებას.

საქ. დეპეშ. სააგენტოს საინფორმაციო ბიუროს ცნობების თანახმად 2 დეკემბერს ერევანში საბჭოთა მთავრობა გამოუცხადებიათ. ძველი მთავრობა გადაყენებულია. ძალა-უფლება სამხედრო სარდლობის ხელშია გენ. დროს ხელმძღვანელობით. სამხედრო კომისრად სილინი დაინიშნა.

რუსეთის დეპეშათა სააგენტოს ცნობით მოკლე ხანში რუსეთსა და იტალიას შორის ხელშეკრულება დაიდება.

ლონდონის ცნობების თანახმად საფრანგეთის სენატის საგარეო საქმეთა კომისია თანაგრძნობით ეკიდება სევრის ხელშეკრულების გადასინჯვის საკითხს.

რუსული ცნობებით ბელგიის მთავრობას გადაუწყვეტია რუსეთთან ეკონომიურ დამოკიდებულებათა აღდგენა.

თქვენ მოგახსენათ კომისიის საერთო მოსაზრება კონსტიტუციის პროექტის შესახებ, ეხლა მე მსურს მოგახსენოთ ს. დ. პარტიის ფრაქციის მოსაზრებანი და საერთო შეხედულება ამავე საკითხზე.

პირველად ყოვლისა ჩვენ უნდა დავსვათ ერთი კითხვა: რა არის კონსტიტუცია საზოგადოთ და მერე როგორი უნდა იყოს ის ჩვენში, ჩვენი პირობების მიხედვით? თქვენ იცით, რომ ჩვეულებრივი კონსტიტუცია არის ერთნაირი ძირითადი უფლებები, ნორმა, რომლის ფარგალში ყოველი სახელმწიფო მუშაობს და მისი ორგანოები მოღვაწეობენ. ის არის, ასე ვსთქვათ, ერთნაირი საერთო დიპლომი, სახალხო ხარტია, რომელზედაც არის დაბეჯნილი მთელი სახელმწიფოს წესწყობილება და თითოეულმა მოქალაქემ იცის თუ რა უფლებანი აქვს მას ამ ხარტიის მიხედვით და რა მოვალეობანი აწევს მას სახელმწიფოს მიმართ. ეს, ასე ვსთქვათ, ერთნაირი წესდებაა, წესდება ისეთი ხასიათის, როგორიცაა მაგ. რომელიმე საზოგადოების წესდება. ამ წესდების თანახმად მუშაობს საზოგადოება, სავაჭრო იქნება ის, საქველმოქმედო თუ სხვ ასეთი წესდებაა ეს კონსტიტუცია თითოეულ სახელმწიფოსათვის. აი ასეთი წესდება, ძირითადი ნორმა, ასეთი პოლიტიკური წესდება არსებობს ყველა თანამედროვე სახელმწიფოებში და ეს სახელმწიფონი ამის მიხედვით თავიანთ საზღვრებში მუშაობენ. უნდა ვსთქვა, რომ ერთი გამონაკლისი, სადაც არის დიდი საკონსტიტუციო უფლებები, მაგრამ არ არის კონსტიტუცია, როგორც მთელი, ჩამოყალიბებული. ეს არის ინგლისი. ინგლისის პარლამენტი არის ერთად ერთი პარლამენტი, რომელსაც აქვს უზენაესი უფლებები. არც ერთ სხვა ქვეყნის პარლამენტს ასეთი უფლებები არა აქვს. ინგლისის პარლამენტს აქვს ეს შეუბოჭავი უფლებები, მას შეუძლია ყოველ დღე სცვალოს კონსტიტუციონალური აქტები, გამოსცეს კანონები, და არავითარი განსხვავება არ ჰქონდეს ძირითად და არა ძირითად კანონებს შორის. ყოველგვარ სხვა სახელმწიფოს, იქნება ის მონარქიული, თუ რესპუბლიკანური, პარლამენტს აქვს შეზღუდული უფლებები. ის ძირითადი დებულებები, რომელიც არის [illegible], შეიძლება შეიცვალოს, მაგრამ არა ჩვეულებრივი პარლამენტარული გზით, არამედ ამისათვის მიღებულია არაჩვეულებრივი გზა. არის მეორე განსხვავება. ყველა სახელმწიფოს აქვს თავისი საკუთარი კონსტიტუცია და ერთი სახელმწიფოს კონსტიტუცია არ გავს მეორე სახელმწიფოს კონსტიტუციას. მართალია ძირითადი დებულებები ერთნაირია, მაგრამ მათი ფორმები და ცხოვრებაში გატარება სხვადასხვანაირია და ამიტომ ვამბობ, რომ ყველა სახელმწიფოს თავისი საკუთარი კონსტიტუცია აქვს მეთქი. უნდა ითქვას, რომ კონსტიტუცია არავითარ ახალ უფლებას არ ქმნის. ის მხოლოთ აღბეჭდავს იმას, რაც უკვე არის ცხოვრებაში. ე. ი. მისი ძირი, საძირკველი, რომელზედაც უნდა იქნას აგებული წერილობით კონსტიტუცია, არის ამა თუ იმ ქვეყნის ფაქტიური კონსტიტუცია. რა ნაირია ამა თუ იმ საზოგადოებაში ფაქტიური ძალთა განწყობილება, ეს უნდა სწორედ კონსტიტუციაში იყოს აღბეჭდილი. ამნაირად, ცხოვრების სინამდვილე სავსებით, ერთიანად უნდა ეთანხმებოდეს ამ დაწერილ სინამდვილეს. ე. ი. ამ ორ წყებას შორის უნდა იყოს სრული თანხმობა. თუ ეს ასე არ არის, თუ ფაქტიური კონსტიტუცია ერთია, დაწერილი კი მეორე, აქ, რასაკვირველია, წერილობითი კონსტიტუცია იძულებული იქნება ადგილი დაუთმოს ფაქტიურს და ამ ორ წყებას შორის მოხდება სრული კოლიზია და ამ ბრძოლაში, ეჭვს გარეშეა, გაიმარჯვებს ფაქტიური კონსტიტუცია. მხოლოდ იმ კონსტიტუციას შეუძლია არსებობა, რომელიც ხატავს ხალხის შინაგან ძალთა განწყობილებას, რასაკვირველია, კონსტიტუციის ისტორიაში ყოფილა და დღესაც არის ისეთი კონსტიტუცია, რომელიც არსებობენ არა შინაგან ძალთა განწყობილებით, არა საზოგადოებრივი კალიბრით, არამედ ხიშტით, იარაღის შიშით. ამის მაგალითს ჩვენ გვაძლევს საბჭოთა რუსეთის კონსტიტუცია. რასაკვირველია, ბოლშევიკების კონსტიტუცია დღეს არსებობს იარაღის ქვეშ. და თუ ეს ხიშტი მოიხსნა, მაშინ ის ერთ საათსაც ვერ დარჩება და დარღვეული იქნება. ე. ი. მოხდება მეორე რევოლიუცია, კლასიკური მაგალითი კონსტიტუციების ხშირი ცვლილებებისა არის საფრანგეთი, საფრანგეთში კონსტიტუცია ხშირ ხშირად იმიტომ იცვლებოდა, რომ ის არ ხატავდა ფაქტიურ სინამდვილეს, იქ მრავალი კონსტიტუცია შეიცვალა და მხოლოდ 1871 წ. დამტკიცდა და საფუძველი ჩაეყარა მესამე რესპუბლიკას. ეს ხდებოდა იმიტომ, რომ იქ, საფრანგეთში კონსტიტუცია არ აღბეჭდავდა ცხოვრების სინამდვილეს. აქედან თქვენ ხედავთ, რომ ეს მეტად ძნელი და რთული კითხვაა. ეს კითხვა არ არის ისე ადვილი, როგორც საზოგადოებაში ბევრს წარმოუდგენია. შეიძლება მშვენიერი კონსტიტუცია დაიწეროს ქაღალდზე, მაგრამ როგორც შევა ცხოვრებაში, მაშინათვე გამოჩნდება, რომ ამ კონსტიტუციის და ცხოვრების შორის არაფერი საერთო არ არის და დაიწყება უფლებრივ ნიადაგზე ბრძოლა. კონსტიტუცია ისეთივეა სახელმწიფოსათვის, როგორიც ტანისამოსია ადამიანისათვის. თუ ტანი ამისი ადამიანის ტანზე არ არის გამოჭრილი, თავის თავად ცხადია, მისი მატარებელი იძულებული იქნება ის გაიხადოს და ახალი მკერვალი ეძიოს, ისეთი მკერვალი, რომელიც მის ტანზე გამოჭრის ტანისამოსს. საფრანგეთი 70 წლის განმავლობაში ეძებდა ისეთ მკერვალს, რომელიც გამოუჭრიდა მას შესაფერ კონსტიტუციას.

და დღეს, როდესაც ჩვენ ვწერთ ჩვენი ქვეყნისათვის კონსტიტუციას, პირველად ყოვლისა უნდა გამოვარკვიოთ საქართველოს ფაქტიური კონსტიტუცია, შინაგან ძალთა განწყობილება და შემდეგ ეს ძალთა განწყობილება აღვბეჭდოთ ჩვენს კონსტიტუციაში. მაშ ვიკითხოთ: რანაირია ჩვენში ეს ძალთა განწყობილება? დავიწყოთ მაღლიდან, მწვერვალიდან, ჩვენში ამ უკანასკნელ 100 წლის განმავლობაში ბატონობდა რუსეთის ტახტი, მაგრამ ამ ტახტს არ ქონდა ჩვენს ხალხთან ორგანიული კავშირი, ე. ი. ის არ იყო ჩვენი ნაციონალური ტახტი და არ იყო გამოსული ჩვენი ხალხის ისტორიიდან, გულიდან, ამიტომ, როდესაც დაიმსხვრა ეს ტახტი, არ შეიძლებოდა ამ ტახტით შექმნილ მონარქიულ ტრადიციების დაბრუნებისათვის ეზრუნა ჩვენს ხალხს, ჩვენ გვქონდა ჩვენი ნაციონალური სამეფო ტახტი, მაგრამ ის ასი წლის წინათ დაირღვა, ამ ნაციონალურ ტახტს ხალხზე ისეთი გავლენა არ ქონია, რომ მას მოეთხოვა მისი აღდგენა, მაშასადამე ის მონარქიული ტრადიცია, ის ფსიქიკა, რომელიც იქმნება ყოველ სახელმწიფოში, ჩვენში არ არის. მაგ. აიღეთ თუ გინდ საბერძნეთი. იმ მეფეს, რომლის უკმაყოფილო იყო გუშინ საბერძნეთის ხალხი, იგივე ხალხი დღეს ეუბნება მობრძანდი და იბატონე. აი მაგალითი იმისა, თუ რას ნიშნავს ნაციონალური ტახტის ორგანიული კავშირი ხალხთან. შემდეგ უნდა ვთქვა, რომ ის საზოგადოებრივი ნაწილი, ის წოდება, რომელიც აძლევს მონარქიას ერთგვარ საფუძველს და მასზე ის ეყრდნობა, აი ეს წოდება ჩვენში დღეს არის სავსებით დარღვეული და არ წარმოადგენს სოციალურ ძალას—ეს არის თავად აზნაურობა. მაშასადამე მე ვამბობ, რომ ჩვენში არც ერთ საზოგადოებრივ ნაწილში არავითარი საფუძველი არა აქვს მონარქიულ სულის კვეთებას და მაშასადამე მონარქიულ კონსტიტუციას.

შემდეგ მოდის ბურჟუაზია. თქვენ იცით, რომ ჩვენში მძლავრი ბურჟუაზია არ არის. (შენგელაია: ჯერ არ მოსულა?) არ მოსულა, ბ. ლეო, და როცა მოვა, არ ვიცი, თქვენ სად იქნებით. მე ვამბობ, რომ ჩვენში არ არსებობს მძლავრი, შეძლებული ბურჟუაზია. მართალია არიან ბურჟუაზიის იდეოლოგები, მაგრამ თითონ კლასი არ არსებობს, არ აქვს ამ კლასს ისეთი სოციალური ძალა, რომ თავისი ელფერი დაასვას სახელმწიფოს კონსტიტუციაზე. ჩვენი საზოგადოება შესდგება სამი კლასისაგან, რომელთაც აქვთ ჩვენში მნიშვნელობა. ერთი არის მრავალრიცხოვანი წვრილი გლეხობა. 90 % ამ გლეხობისა იძულებულია თავის სარჩენად მიმართოს სხვის მიწას, ან სხვა რაიმე სამუშაოს, გარდა მეურეობისა. (კედია: თქვენის წყალობით, ბ-ნო, იმათ აქვთ საკუთარი მიწა) სამწუხაროთ, ბ. სპირიდონ, ჩვენში იმდენი მიწა არ აღმოჩნდა, რომ მიწების დარიგების შემდეგ გლეხებს საკმაო მიწა ჰქონოდათ. და მე მგონია, რომ იმდენი მიწა ვერ გაჩნდება, ასე რომ იმ რეფორმამ რაც ჩვენ მოვახდინეთ, სრულიად ვერ შესცვალა ჩვენი კლასიური მდგომარეობა. მართალია, ბ. სპირიდონი ფიქრობს, რომ ჩვენშიაც გაჩნდებოდა სხვანაირი გლეხი, მსგავსად გერმანიისა, მაგრამ მათი იმედები გაცრუვდა (კედია: ეს ადრე უნდა გეთქვათ, ბატონო! მე ვიმეორებ, რომ საქართველოში საკმარისი მიწა არ იყო და მიწას ჩვენ ვერ შევქმნიდით.

შემდეგ, ჩვენში არის ქალაქის მრავალრიცხოვანი წვრილი ბურჟუაზია; წვრილი ვაჭრები, ხელოსნები მოხელეები, ე. ი. ისეთი ხალხი, რომელიც ცხოვრობს ქალაქში წვრილი შემოსავლით და ვერ გამხდარა ბურჟუაზიის წევრად. ამის შემდეგ ჩვენში არის მრავალრიცხოვანი, ამასთანავე შეკავშირებული და შეგნებული მუშათა კლასი, რომელიც დიდი ხანია, რაც ჩვენს ცხოვრებას, პოლიტიკურ მოძრაობას უდგია სათავეში. აი ამ კლასმა დაასვა თავისი გადამჭრელი ბეჭედი მთელ ჩვენ მოძრაობას. ამ კლასს მისდევს მოწინავე გლეხობა. მისდევს აგრეთვე დიდი ნაწილი ქალაქის წვრილი ბურჟუაზიისა.

აი ეს სამი კლასი არის შეკავშირებული მუშათა კლასის იდეოლოგიის და მისი დღევანდელი დროშის ქვეშ. აი ასეთია ნაწილები ჩვენი ფაქტიური კონსტიტუციისა, თუმცა ჩვენ წერილობითი კონსტიტუცია დღევანდლამდე არ გვქონია, მაგრამ თქვენ იცით, რომ ჩვენ გვაქვს პოლიტიკური ორგანიზაცია. ეს ორგანიზაცია და კანონი სავსებით დაყრდნობილია ამ კლასის არსებობაზე და მათ ურთიერთობაზე. აქედან თქვენ ხედავთ, რომ ჩვენს ცხოვრებაში გადამჭრელი მნიშვნელობა აქვს ამ სამ კლასს, რომელიც ყოველ ქვეყანაში და ყოველ დროს ყოფილა უაღრესად დემოკრატიული კლასი. როგორც დავინახეთ, ჩვენში არავითარი საფუძველი არა აქვს მონარქიას. აქედან ცხადია, რომ ჩვენში უნდა იყოს რესპუბლიკა. მაგრამ თუ ამ რესპუბლიკაში გადამჭრელი მნიშვნელობა აქვს დემოკრატიულ კლასებს, თავისთავად ცხადია, ეს რესპუბლიკა უნდა იყოს დემოკრატიული. ამნაირად დემოკრატიული რესპუბლიკა სავსებით ხატავს ჩვენი ცხოვრების ვითარებას და ეს რესპუბლიკა არის სწორედ ნამდვილი გამოჭრილი ტანისამოსი, რომელიც უნდა ეცვას ჩვენს საზოგადოებას და ჩვენს სახელმწიფოს. მე ვთქვი, რომ ამ დემოკრატიული კლასების მეთაური არის მუშათა კლასი, ე. ი. დღეს ჩვენში პოლიტიკური ბატონობა და პოლიტიკური გეგემონია უჭირავს მუშათა კლასს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ კლასს შეუძლია დაამყაროს ის, რაც მას მოეპრიანება და მოესურვება. ამ დღევანდელ მის ბატონობას აქვს ერთნაირი საზღვარი და ეს საზღვარი არის ჩვენი ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობა. რა ნაირია ჩვენში ეს ეკონომიური მდგომარეობა თქვენ იცით. ჩვენში მსხვილი მრეწველობა სუსტია. მსოფლიო ბაზარი კი ეკუთვნის კაპიტალისტურ ბურჟუაზიას, ჩვენში კი არის წვრილი მეურნეობა, წვრილი ხელოსნობა და წვრილი ვაჭრობა. ამას აქვს უაღრესად გადამჭრელი მნიშვნელობა ჩვენს ცხოვრებაში. ასეთ ეკონომიურ საფუძველზე, თავის თავად ცხადია, მუშათა კლასი ვერ განახორციელებს თავის საბოლოო მიზანს ევროპის დამოუკიდებლად. აი ამ მდგომარეობას არ მიხედეს ბოლშევიკებმა, ვერ გაიგეს, რომ რუსეთში დაახლოვებით ისეთი ეკონომიური ვითარებაა, როგორიც ჩვენში. მათ თავისი პროგრამა ვერ შეუფარდეს ეკონომიურ მდგომარეობას. და აქედან დაიბადა ის, რომ, იმის მაგიერ, რომ იქ მართლა, როგორც მათ სურდათ განეხორციელებინათ საბოლოო მიზანი, მოგვცეს დანგრევა მთელი მრეწველობისა. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენში არ შეიძლებოდეს სოციალიზმის განხორციელება მანამ, სანამ ჩვენი ქვეყანა არ გადაიქცევა ინდუსტრიალურ ქვეყნად. ეს ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ ევროპის დამოუკიდებლათ ჩვენ ვერ განვახორციელებთ სოციალიზმს და თუ მოვინდომეთ ეს, ის მოგვივა, რაც მოუვიდა რუსეთს და დავრჩებით გატეხილი გომის წინ. მაგრამ თუ კი ევროპის მდგომარეობა შეიცვალა, მისი სოციალური გარდაქმნა მოხდა, მაშინ ჩვენშიაც შესაძლებელი იქნება სოციალური გარდაქმნის მოხდენა, რადგანაც ჩვენ არ ვიქნებით ეკონომიურად განმარტოვებული. მაშინ ჩვენ და ევროპას ერთად შეგვეძლება სიარული და ევროპიდან მოვიტანთ იმას, რაც ჩვენ დაგვაკლდება. მაშასადამე ჩვენი მუშათა კლასის მოქმედების საზღვარი არის ეკონომიური მდგომარეობა. ამით მტკიცდება ის, რაც არა ერთხელ ითქვა მარქსის და სხვა მარქსისტების მიერ, რომ პოლიტიკური წყობილება არის აგებული ეკონომიურ წყობილებაზე. პოლიტიკა ეკონომიკის ზედნაშენია; ეს იმას არ ნიშნავს, რომ პოლიტიკურ ვითარებას არ შეეძლოს ამ საფუძველზე გავლენის მოხდენა და არ შეეძლოს დააჩქაროს პროცესსი. აქედან იბადება საჭიროება ისეთი პოლიტიკური წყობილებისა, ისეთი კონსტიტუციისა, რომელიც მუშათა კლასს მისცემს ნამდვილ იარაღს არსებულ ეკონომიური საფუძვლის გარდასაქმნელად თავის სურვილისამებრ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკას კონსტიტუცია უნდა ატარებდეს თან ამ კლასის პოლიტიკას და სოციალურ მისწრაფებას და უნდა უკაფავდეს ბრძოლის გზა კვალს. მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ პოლიტიკური უფლება რჩება ცალიერ სიტყვათ, თუ მას არ ახლავს სოციალური უფლებები, თუ ამ უფლებას არ სცნობს ერის დიდი უმრავლესობა და არ ემხრობიან გლეხები. საქართველოს მუშათა ხალხი აგებს რა თავის კონსტიტუციას აი ამ პრინციპზე, ჰქმნის უაღრესად დემოკრატიულ პოლიტიკურ ნორმებს. ის ამ კონსტიტუციის საშუალებით მიდის თავის საბოლოო მიზნისაკენ, მაგრამ ის თავის ამ საბოლოო მიზნებს უკავშირებს ხალხის ფართო მასსას და ეს ქმნის იმას, რომ ეს კლასი არ შორდება ფართო დემოკრატიულ მასსებს ისე, როგორც მოშორდნენ ბოლშევიკები. მაშასადამე საჭირო არ იქნება ის, რომ ამ კლასმა ძალით, იარაღით ხელში თავს მოახვიოს ფართო მასსას თავისი მიზნები და სურვილი. დემოკრატიულ კონსტიტუციამ, როცა ის აწესებს თავის პოლიტიკურ ნორმებს, იქვე უნდა ჩაუყაროს საფუძველი სოციალურ ნორმებსაც. საზოგადო მეურნეობა, მისი თანდათან გაფართოვება, აი აქეთკენ უნდა იყოს მიმართული ამ ნორმების გეზი და სავალი გზა. ასეთ პირობებში პოლიტიკურ-სოციალური აღორძინება სწარმოებს ერთად, განუყრელად და მისი ერთადერთ ასპარეზად აღიარებულია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. მისი მთავარი გზა კვალი და საშუალება არის საქართველოს დემოკრატიული კონსტიტუცია. აი ასეთი მიზანი უნდა დაისახოს ჩვენმა დემოკრატიულმა კონსტიტუციამ. მაგრამ იბადება კითხვა: როგორ შეიძლება ეს მიზანი განხორციელებულ იქნას, ე. ი. როგორი უნდა იყოს ეს კონსტიტუცია თავისი ფორმებით, რომ მართლაც გააკეთოს ის, რაც ხელსაყრელია მოწინავე კლასებისათვის და არა ის, რაც ხელსაყრელი იქნება ჩვენი მოწინააღმდეგეებისათვის. შეიძლება კონსტიტუციას დაერქვას დემოკრატიული, მაგრამ არავითარი დემოკრატიზმი არ იყოს შიგ. მაგ. ამბობენ, რომ საფრანგეთის კონსტიტუცია არის დემოკრატიული კონსტიტუციაო, მაგრამ ეს არ არის მართალი.

ძირითადი კითხვა, პრობლემა ყველა კონსტიტუციისა ერთი და იგივე არის. ეს არის—რანაირად შეიძლება აწყობა ხელისუფლებისა, ე. ი. რანაირად უნდა იმუშაონ სახელმწიფოს ორგანოებმა ისე, რომ ეს ორგანოები ერთი მეორეს ხელს არ უშლიდენ, ერთი მეორეს ეხმარებოდნენ და საბოლოოდ ამ ორგანოების მუშაობა ჰქმნიდეს ერთ მთლიან სახელმწიფოს; ე. ი. შრომის დანაწილება ამ ორგანოთა შორის და იმავე დროს მათი შეერთება, ეს არის პრობლემა კონსტიტუციისა. ან კიდევ უფრო რომ განვმარტო კითხვა კონსტიტუციისა მდგომარეობს შემდეგში—რანაირად შეიძლება მოქალაქის თავისუფლება მოთავსდეს საზოგადო წესიერებასთან და სახელმწიფოს მთლიანობასთან. თქვენ იცით, რომ, რაც უფრო ნაკლები არის თავისუფლება, მით უფრო ადვილი არის წესიერების დამყარება. ამისთანა მაგალითები ისტორიაში ბევრია, მაგრამ ახალი და ახლო მაგალითიც გვაქვს—ეს არის რუსეთი, იქ თავისუფლება თითქმის არ არის, წესიერება კი არის. შეიძლება ეს დროებითია, მაგრამ წესიერება მაინც არის. მაშასადამე მეტი თავისუფლება—ეს არის მოთხოვნილება, თვისება ყველა დემოკრატიისა და თუ ჩვენ გვინდა, ჩვენში იყოს დემოკრატიული რესპუბლიკა, ჩვენ ამ რესპუბლიკაში თავისუფალნი უნდა ვიყვნეთ. მაგრამ, როდესაც აძლევთ თავისუფლებას, არ უნდა მოხდეს ის, რომ ამ თავისუფლებამ დაარღვიოს შინაური წყობილება. მაშასადამე, როგორ უნდა მოვათავსოთ დემოკრატიულ სახელმწიფოში ხალხის დიდი თავისუფლება წესიერებასთან და დემოკრატიულ რესპუბლიკის მთლიანობასთან. უნდა ვსთქვათ, რომ ასეთი პრობლემა დემოკრატიულ სახელმწიფოებში გადაწყვეტილია. ეს არის—შვეიცარია და შეერთებული შტატები. მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ ეს სახელმწიფოები ფედერატიული სახელმწიფოები არიან. ჩვენ კი ვქმნით არა ფედერატიულ, არამედ უნიტარულ დემოკრატიულ რესპუბლიკას. უნიტარული დემოკრატიული რესპუბლიკა კი ჯერჯერობით ქვეყანაზე არ არსებობს. ცდა კი იყო ასეთი სახელმწიფოს შექმნისათვის, საფრანგეთში რევოლიუციის ხანაში კონვენტი შეეცადა შეექმნა დემოკრატიული უნიტარული რესპუბლიკა, მაგრამ ის კონსტიტუცია, რომელიც მან შეიმუშავა, ცხოვრებაში არ გატარებულა, ის დარჩა მხოლოდ ქაღალდზე.

მაშასადამე, როგორც ვთქვი, დემოკრატიული უნიტარული რესპუბლიკა არსად არ არსებობს და ჩვენ გვსურს სწორედ ასეთი რესპუბლიკის დაარსება. ამიტომ ძირითადი პრობლემის გადაწყვეტა ასე ადვილი არ არის. დემოკრატიულ უნიტარულ სახელმწიფოებში ეს პრობლემა გადაწყდა ისე, რომ პატარ-პატარა შტატებში, პატარ-პატარა კანტონებში პრობლემა თავისუფლების, წესიერების და მთლიანობისა თანდათან ვითარდებოდა, მაგრდებოდა და შემდეგ ეს შტატები ერთმანეთს უკავშირდებოდნენ; ამნაირად შეიქმნა შვეიცარია და შეერთებული შტატები. ამ გვარად იქ ეს მოხდა ძირითადათ, ქვევიდან, ჩვენ კი, რადგანაც უნიტარულ სახელმწიფოს ვქმნით, ამ პრობლემის გადაწყვეტა უნდა დავიწყოთ ცენტრიდან და აქ არის დიდი დაბრკოლება. ჩვენთვის ეს პრობლემა დღესაც არსებობს. ჩვენ კონსტიტუცია არა გვაქვს, მაგრამ გვაქვს ერთნაირი პრაქტიკა. ჩვენში პროვინციალური ორგანოები და მთავრობა მუშაობენ, მაგრამ ხშირათ ერთმანეთს ხელს უშლიან, ეს არის ერთნაირი პარტიკულარიზმი, რომლიდანაც გამომდინარეობს დემოკრატიზმი. თუ მიეცით ხალხს თავისუფლება, თავისთავად ცხადია, ის თავისუფლად მოინდომებს ამის გამოყენებას და ამ ორგანოებში მოკალათებას. ამიტომ სახელმწიფო ისეთი უნდა იყოს, რომ ადგილობრივ ორგანოების მოღვაწეობას ხელს არ უშლიდეს, მაგრამ იმავე დროს ერთ სახელმწიფოში არ ქმნიდეს მრავალ სახელმწიფოებს დემოკრატიზმი უეჭველად მოითხოვს, რომ მართვა-გამგეობაში იყოს შეტანილი დეცენტრალიზაცია და ეს დეცენტრალიზაცია პირდაპირ უნდა გამომდინარეობდეს დემოკრატიზმიდან. მაგრამ ეს არ უნდა არღვევდეს ცენტრის უფლებას. ეს არის დიდი პრობლემა, დიდი პოლიტიკური საკითხი და თუ ჩვენმა კონსტიტუციამ ეს გადაჭრა, ეს იქნება პირველი მაგალითი მსოფლიოში, რომ უნიტარული რესპუბლიკა დაარსდა თავისი შესაფერი დემოკრატიული კონსტიტუციით.

(დასასრული იქნება).

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

3 დეკემბერი.

რუსეთის დეპეშ. სააგენტო

მდგომარეობა ინგლისში.

ფილიპ სნოუდენი, ინგლისის მუშების ზომიერი ლიდერი, სწერს: მიუხედავათ იმისა, რომ ინგლისი ყველაზე უფრო ნაკლებათ დაზარალდა ომში, მაინც მისი ეკონომიური მდგომარეობა კრიზისს განიცდის. უმუშევართა რიცხვი იზრდება. მთავრობამ ვერ შეასრულა დაპირება ომში გაწვეულთა წინაშე და ეხლა ისინი ავსებენ ინგლისის ქუჩებს და დახმარებას ითხოვენ. ქუჩებში ხშირად ხდება უმუშევართა და დამშეულთა დემონსტრაციები. ირლანდიის საკითხში მთავრობა ბარბაროსულ პოლიტიკას აწარმოებს. მას ჰსურს სამხედრო ძალით დაამხოს ირლანდიელების სურვილი დამოუკიდებლობის მოპოვებისა. ბრიტანეთის მუშათა პარტიაში არ არსებობს მთლიანობა ირლანდიის საკითხში. ნაწილი მოითხოვს ირლანდიის ბრიტანეთიდან სრულ ჩამოშორებას. უმეტესობა კი მოითხოვს ირლანდიის ავტონომიას. რუსეთის საკითხში ინტერესი მუშათა წრეებისა ნელდება. ბრიტანეთის მუშათა პარტიას, თუ კი იგი მოისურვებდა, შეეძლო განედევნა პოლიტიკურ ასპარეზიდან არსებული მთავრობა.

ირლანდიის საკითხის გამო.

ირლანდიაში მომხდარ არეულობის გამო, სადაც რამოდენიმე ინგლისელი აფიცერი მოჰკლეს, შესდგა თემთა პალატის სხდომა, რომელზედაც ირლანდიის დამოუკიდებლობის მომხრე დევლენი და კონსერვატორი მაიორი მაისსონი ერთმანეთს წაეჩხუბნენ.

ბავშვების მდგომარეობა გერმანიაში.

ბერლინში გერმანელ ბავშვთა ტანჯვის გამო მოხდა მრავალრიცხოვანი მიტინგი. 1313 ბავშვიდან 118 გახდა ავათ ჭლექით.

პროფესიონალური მოძრაობა ფინლიანდიაში.

შენიშნულია, რომ ფინეთში იზრდება პროფ. კავშირთა მოძრაობა. წლის დასაწყისში კავშირებში 40 000 წევრი ირიცხებოდა, ეხლა კი ირიცხება 55,000.

დაღესტანის ხალხთა ავტონომია.

დაღესტანის ხალხთა ყრილობაზე სახალხო კომისარმა სტალინმა გამოაცხადა დაღესტანის ავტონომია, დაღესტანის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის სახით. ავტონომიის გამოცხადებამ დიდი აღფრთოვანება გამოიწვია.

ქემალი და სტამბოლი.

ქემალ ფაშამ სტამბოლს შემდეგი შეუთანხმებელი პირობები წარუდგინა: ადრიანოპოლის და სმირნის ევაკუაცია, სევრის ხელშეკრულობის იმ მუხლების შეცვლა, რომლებიც ოსმალეთის ფინანსიურსა და ეკონომიურ საკითხებს შეეხება, საერთო ამნისტია და ისეთი კაბინეტის შედგენა, რომელიც ხალხის ნდობით იქნება აღჭურვილი.

ლტოლვილი რუსების კომიტეტი ბერლინში.

ბერლინში რუსეთის ლტოლვილებმა შეადგინეს ახალი ველიკო-რუსული ეროვნული კომიტეტი, რომლის მეთაურათ კადეტი ეფიმოვსკი ითვლება. კომიტეტის შემადგენლობაში შევიდნენ ყოფილი ოქტომბრისტები. კომიტეტი თავის მიზნათ რუსეთის ხსნას ისახავს.

იტალია და რუსეთი.

მოკლე ხანში იტალიასა და რუსეთის შორის ხელშეკრულება დაიდება.

სამხედრო ცნობა.

მოსკოვი 2 დეკ. ჩრდილოეთის ფრონტზე მყუდროებაა. დასავლეთის ფრონტზე დრისის რაიონში ჩვენი ნაწილები ქ. დრისის და დაბა ვოლინსკის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე გავიდნენ. სლუცკის რაიონში ხდება შეტაკება ბალახოვიჩის მოხეტიალე მცირე რაზმებთან. დანარჩენ ფრონტებზე მდგომარეობა უცვლელია.

ბურჟუაზია არ მომკვდარა.

„პრავდა" სწერს: თეთრგვარდიელთა ავანტიურა დასრულდა. მეფის გენერლების ფრონტი დაიშალა, მაგრამ ბურჟუაზია არ ისვენებს. მართალია მან შეიგნო, რომ თეთრ გენერლებთან კავშირი მხოლოთ მარცხით თავდება მაგრამ მან ახლა გადასწყვიტა, შეიმუშავოს კომუნიზმთან საბრძოლველი სხვა მეთოდები. განზრახულია მთლიანი დემოკრატიული ფრონტის შექმნა. როლები უკვე განაწილებულია. ამ დემოკრატიული ფრონტის საშუალებით ფიქრობენ საბჭოთა რუსეთის დამხობას, მაგრამ ტყუილათ. რუსეთის მუშებმა და გლეხებმა ისწავლეს სამი წლის განმავლობაში მტრების დამარცხება. ახალი გადაჯგუფება არ არის ჩვენთვის საშიშარი, მუშები და გლეხები სამი წლის წინათ გაუწორდენ 2-5 კერენსკებს და ისინი ბურჟუაზიულ წესებს აღარ შემოიღებენ.

ბელგია და რუსეთი.

ბელგიის მთავრობამ გადასწყვიტა დაიწყოს რუსეთთან მოლაპარაკება ეკონომიურ დამოკიდებულების აღსადგენათ.

პოლ ლუი მე-2-ე ინტერნაციონალის შესახებ.

სენის ფედერაციის სოციალისტურ კონგრესის ყრილობაზე, სადაც ირჩეოდა საკითხი რუსეთთან შეერთებისა, პოლ ლუი ამტკიცებდა, რომ თანამედროვე მასსათა რევოლიუციონურ განწყობილების პირობებში შეუძლია მეორე ინტერნაციონალის აღდგენაო.

ქემალის განცხადება.

ქემალმა განაცხადა, რომ ნაციონალისტები სტამბოლის მთავრობის წინააღმდეგ არავითარ მტრობას არ გრძნობენ, ისინი მხოლოდ სევრის ხელშეკრულების წინააღმდეგ აცხადებენ პროტესტს. ფიქრობენ, რომ მოკავშირეები დათანხმდებიან ხელშეკრულების გადასინჯვაზე.

ლიონის ცნობები

რადიკალებისა და დემოკრატების გამარჯვება.

ბელგრადი. დამფუძნებელ კრების არჩევნებში გაიმარჯვეს რადიკალებმა და დემოკრატებმა. 90 ადგილიდან, რომელიც კროაციას ჰქონდა დათმობილი, 50 გლეხთა პარტიამ მიიღო. რაც შეეხება ჩერნოგორიას, მიუხედავათ ექსმეფის ნიკოლოზის მომხრეთა ინტრიგისა, არჩევნებში მიიღო უმეტესობა იმ პარტიამ, რომელიც გაერთიანებას მოითხოვს.

ს.-რ. სოკოლოვი რუსეთის შესახებ

ბრიუსელი ბორის სოკოლოვმა, რუსეთის სოც.-რევოლიუციონერმა, სათათბიროს ყოფილმა წევრმა, განაცხადა, რომ დიქტატურა საშინელ გავლენას ახდენს წარმოებაზე. რუსის მუშის მდგომარეობა საშინელია. მუშები იხოცებიან სიმშილით მაშინ, როდესაც კომისრები ყოველ დღე ზეიმობენ. მიუხედავათ მიღებულ ზომებისა წარმოება თანდათან ეცემა, სიტყვის და ბეჭვდის თავისუფლება გაუქმებულია. სოკოლოვს მოჰყავს ბევრი მაგალითები იმისა, თუ როგორ უკანონოთ ხდება დასჯა და დახვრეტა რუსეთში. დასასრულ სოკოლოვმა განაცხადა, რომ რუსეთის ეკონომიური აღდგენა შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობებში, თუ ქალაქის და სოფლის მცხოვრებლები ერთმანეთს ნდობით მოეკიდებიანო. სოკოლოვს სწამს რუსეთის მომავალი აღდგენა; მისი აზრით რუსეთში უნდა დამყარდეს სოციალ-დემოკრატიული რეჟიმი.

სევრის ხელშეკრულების გარშემო.

სენატის საგარეო საქმეთა კომისიამ, ოთხშაბათს მოისმინა მოზელის დეპარტამენტის სენატორის მოხსენება ოსმალეთის ხელშეკრულობის შესახებ. აზრთა გაცვლა-გამოცვლაში მონაწილეობა მიიღო პუანკარემ და რიბომ. კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება აუწყონ მას სევრის ხელშეკრულების სრული ტექსტი და მოისმინოს საგარეო საქმეთა მინისტრის ლეიგის და გენ. გუროს მოხსენება სირიის საკითხის შესახებ. აღნიშნული კომისია თანახმად „ექსცელზიორის" ცნობისა თანაგრძნობით ეკიდება ხელშეკრულობის გადასინჯვას. ახლო აღმოსავლეთის საკითხები გადაწყვეტილი იქნება ფინანსიურ კომისიასთან ერთად დანიშნულ სხდომაზე.

სოციალისტურ დელეგაციის ანგარიში საქართველოში მოგზაურობის შესახებ.

საქართველოში მყოფ სოციალისტურ დელეგაციის წევრებს მიზნათ აქვთ ამ მოკლე ხანში თავი მოიყარონ ბრიუსელში საქართველოს რესპუბლიკის მდგომარეობისა და საქართველოში მათი მოგზაურობის შესახებ საერთო მოხსენების შესამუშავებლათ. მოხსენებისათვის ისარგებლებენ დე-ბრიუკერის მიერ წაღებული მასალებით.

ახალი წიგნი საქართველოს შესახებ.

პარიზში დაიბეჭდა და გასაყიდათ გამოვიდა ბ. ბაბეს წიგნი საქართველოს სამთო-მადნო სიმდიდრეთა შესახებ ეს წიგნი მკითხველებს აცნობს საქართველოში არსებულ მადნეულ წყლებს და თეთრ ნახშირს. განსაკუთრებით დაწვრილებით ჩერდება ავტორი სპილენძის, ქვა-ნახშირისა და მარგანეცის მადნებზე; ამასთანავე მოჰყავს მრავალი სტატისტიკური ცნობები და ლაბორატორიათა ანალიზები. იმ თავში, სადაც ლაპარაკია საქართველოში არსებულ თეთრ ნახშირზე, მოყვანილია საქართველოს ჰიდრო ელექტრიულ სადგურებისა და ათი ათას ცხენის ძალაზე უძლიერეს წყლის ენერგიათა წყაროების სია. წიგნს თან დართული აქვს 11 რუკა და სქემა, რომელიც თვით ავტორის მიერ არის შედგენილი.

მისტრის სნოუდენის წიგნი.

ინგლისური გაზეთების ცნობით, ინგლისურმა ერთ-ერთმა დიდმა გამომცემლობამ დაავალა ქ-ნ სნოუდენს შეადგინოს დაახლოვებითი აღწერა ყველა იმისა, რაც მან საქართველოში ნახა, ქ-ნ სნოუდენის ახალი წიგნი მოკლე დროში გამოვა.

საქ. დეპ. სააგენტოს საინფორმაციო განყოფილება

3 დეკემბერი.

შეთქმულება.

მილანი. ადგილობრივ პრესის ცნობით პოლიციას აღმოუჩენია რამდენიმე შეთქმულება. ფიქრობდენ ტერორისტულ გამოსვლათა მოწყობას. ქალაქის სხვა და სხვა ნაწილში დააპატიმრეს 190 კაცი.

საბჭოთა ძალა-უფლება ერევანში.

ტფილისი, 3 დეკემბერი. მიღებულ სარწმუნო ცნობების მიხედვით, დეკ. 2 ერევანში საბჭოთა მთავრობა გამოუცხადებიათ. ძველი მთავრობა გადაყენებულია. მთელი ძალა-უფლება დროებით გადაეცა სამხედრო სარდლობას, რომელსაც დრო ხელმძღვანელობს.

სამხედრო კომისრათ დაინიშნა სილინი. სომხეთის რევკომმა მისასალმებელი დეპეშა მიიღო ქიაზიმ ყარა-ბექირისაგან.

კრონშტადტის ნავთსადგურში.

პარიზი. „ტანი" იუწყება: საბჭოთა მთავრობამ ოფიციალურად განაცხადა რომ კრონშტადტის ნავთსადგური ყველა უცხო გემისათვის ღია არისო.

ვატერინგის პროცესი.

ლონდონი. ლონდონის პრესა დაწვრილებით გადმოგვცემს იმ საინტერესო პროცესის ანგარიშს, რომელიც ლონდონის სამოქალაქო სასამართლოში სწარმოებდა. პროცესი აღძრა ინგლისელმა ვატერინგმა „ბრიტანეთის იმპერიის დამცველ საზოგადოების" წინააღმდეგ. ვატერინგი მოითხოვდა ზემოაღნიშნულ საზოგადოებისაგან იმ ზარალის ანაზღაურებას, რომელიც მან ნახა პეტროგრადში არსებულ რუსულ ბანკებ-

ში მისგან შეტანილ ნაღდ თანხის ბოლშევიკების მიერ რეკვიზიციის გამო. თავის კუთვნილი ფული ვატერგინმა დაზღვევისა ზემო აღნიშნულ საზოგადოებაში და კანონის ძალით მას უნდა მიეღო ჯილდო ბანკის გაკოტრების დაწვისა ან დანგრევის დროს, სასამართლომ ვატერგინს უარი უთხრა, რადგანაც მან ვერ შესძლო იმის დამტკიცება, რომ მას ფული დაეკარგა ზემოაღნიშნულ მიზეზებისა, ე. ი. ცეცხლისა, ან გაკოტრების გამო. სასამართლომ უარი განაცხადა მხედველობაში მიეღო საბჭოთა მთავრობის მოქმედებანი და აღნიშნა, რომ ეს არის პოლიტიკის საქმე და სათანადო საჩივრებით უნდა მიმართონ მთავრობას, რომელიც დაიცავს თავის ქვეშევრდომთა ქონებრივ ხელშეუხებლობას.

საქართველოში არსებულ რ. ს. ფ. ს. რ. სრულუფლებიან წარმომადგენლობის პრესის ბიუროს ბიულეტენიდან

3 დეკემბერი.

ენვერი გაასამართლეს.

სტამბოლი, 22 ნოემბერი. „ვეიამ საბაჰ“ სწერს: მიწათ-მოქმედებისა და ვაჭრობის სამინისტროს საჩივრის გამო იმ ზიანზე, რომელიც ენვერმა მიაყენა ბელგრადის ტყეებს დიდი ომის დროს, ბოლოლში სასამართლომ დაადგინა გადაახდევინოს ენვერს 3,671.900 პიასტრი. სამინისტრომ აცნობა სტამბოლის ქალაქის თვითმართველობას ენვერის მთელი ქონების და ბედის შესახებ.

მუსტაფა რეშიდ-ფაშის განცხადება. სტამბოლი, 22 ნოემბერი. „ჟურნალი დ. ორიენი“ სწერს: ერთი ჩვენი თანამშრომელთაგანმა გუშინწინ აცნობა სახალხო განათლების მინისტრს მუსტაფა რეშიდ ფაშას ზოგიერთი არა სასიამოვნო ხმები, რომელიც გავრცელებულია კაბინეტის მდგომარეობის შესახებ.

მე შემიძლია თქვენ დაგარწმუნოთ—განაცხადა მინისტრმა—რომ ეს ხმები საფუძვლიანი არ არის.

მართალია, თუ არა—შეეკითხა ჟურნალისტი—რომ სევრის ხელშეკრულება დამტკიცებულ იქნა?

თქვენ შეგიძლიათ ეს უარყოთ. რაც შეეხება ანატოლიასთან ურთიერთობას განაგრძო მუსტაფა რეშიდ-ფაშამ,—ამ საკითხს არჩევს შინაგანსაქმეთა მინისტრი იზზეტ-ფაშა და, მაშასადამე, მას შეუძლია მოგაწოდოთ თქვენ დაწვრილებითი ცნობები. ჩემის მხრივ მე გეტყვით მხოლოთ, რომ ცდილობენ ნიადაგი მოუმზადონ ანატოლიასთან კონტაქტს. ცუდი ამინდი, რომელიც მძვინვარებს პროვინციებშიაც, დიდ დაბრკოლებებს იწვევს. მიუხედავათ ამისა, ჩვენ ღრმათ დარწმუნებული ვართ, რომ რამოდენიმე დღის შემდეგ ჩვენ გვექნება ცნობა ანატოლიის დელეგაციის შესახებ. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ საკითხი კონტაქტის შესახებ ახლო მომავალში გადაწყდება. მისიის გამგზავრება დამოკიდებულია ურთიერთობის აღდგენაზე. თუ ეს აღდგენილი არ იქნა, სად შეიძლება მისი გაგზავნა? მიუხედავათ ამისა მთავრობას იმედი აქვს ნიადაგი მოუმზადოს ანატოლიასთან შეთანხმებას და მას სწამს, რომ ჩვენი ნაბიჯი ამ მიმართულებით სასურველით დაგვირგვინდება“.

შეთანხმება ანატოლიასთან.

სტამბოლი. 22 ნოემბერი. „სტამბული“ სწერს: „კონსტანტინოპოლის მთავრობის სპეციალური დელეგაცია უკვე ჩავიდა ანატოლიაში. მუსტაფა-შერიფ ბეიმ, სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ, ერთ ჩვენ თანამშრომელს განუცხადა, რომ თუმცა ბრწყინვალე პორტას ჯერ არ მიუღია არავითარი ანგარიში იმ ნაბიჯების შესახებ, რომლებიც გადადგა დელეგაციამ, მაგრამ ის არ დააყოვნებს ამის გაკეთებას, როგორც კი მიიღებს ცნობებს“.

ყირიმში.

ნიკოლაევი. 2 დეკემბერი. (რადიო) სიმფეროპოლში მესამე ინტერნაციონალის წევრების მონაწილეობით შესდგა გრანდიოზული მიტინგი შემდეგ თემაზე: „რა არის პროლეტარიატის დიქტატურა“. მოწოდება კომუნისტურ პარტიის მხარის დაჭერის შესახებ, მიღებულ იქნა „ურას“ ძახილით. თათრების პროლეტარიატმა მოაწყო მიტინგი, რომელზედაც მიღებულ იქნა რეზოლუცია ყველა საბჭოთა რესპუბლიკების მისალმების შესახებ. თათრების პროლეტარიატი რეზოლუციაში ფიცსა სდებს, რომ საბჭოთა მთავრობას აღმოუჩენს ყოველნაირ დახმარებას.

ბათუმის გარშემო

ლორდ კერზონის ნოტა ჩიჩერინისადმი.

(ბრიტანეთის მისიის ცნობა).

1920 წლის ნოემბრის 19 დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლორდმა კერზონმა მოსკოვში ჩიჩერინის სახელზე შემდეგი შინაარსის დეპეშა გააგზავნა: „საბჭოთა მთავრობამ ძალიან კარგად იცის, რომ არავითარი საფუძველი არა აქვს იმ ხმებს, თითქოს ბრიტანეთის სამხედრო ძალები ფიქრობდენ ბათომის ოკუპაციას. ამგვარი ხმების გავრცელება შესაძლებელია მხოლოდ პროპაგანდის გაწევის მიზნით.

დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლორდმა კერზონმა ნოემბრის 24 მოსკოვში ჩიჩერინის სახელზე გააგზავნა შემდეგი შინაარსის დეპეშა: მიუხედავათ იმისა, რომ ყოველგვარ საფუძველს არის მოკლებული ის ხმები, თითქოს ბრიტანეთის, ან სხვა მოკავშირე სახელმწიფოთა მთავრობებს მიზნათ ჰქონდეთ ბათომის ოკუპაცია და ამის გამო საბჭოთა მთავრობის მიერ განმეორებული შეკითხვები და პროტესტები გვაფიქრებინებენ, რომ ეს ადგილი, რომელიც საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკის ტერიტორიის ნაწილს შეადგენს, საფრთხეში იმყოფება; ამიტომ მისი უმაღლესობის მთავრობა მოხარული იქნება მიიღოს საბჭოთა მთავრობისაგან სათანადო რწმუნება იმისა, რომ საბჭოთა მთავრობის მიმართ არ არსებობს რაიმე ეჭვი, რომ თვით იმასა სურს ბათომის ოკუპაცია“.

ქემალ-ფაშა და ინგლისი

სტამბოლიდან „აზხატ-ვირის“ საკუთარი კორესპონდენტი 23 ნოემბერს იტყობინება, რომ იქ დაჟინებით ლაპარაკობენ ინგლისისა და მუსტაფა ქემალფაშის შორის მომხდარ შეთანხმების შესახებ. ამ შეთანხმების ძალით სტამბოლი უბრუნდება ოსმალეთს; ამის მაგივრად ქემალ ფაშას ევალება თავისი ლაშქარი დასძრას ბაქოსკენ და აქედან გარეკოს ბოლშევიკები.

ახალი ამბები

◆ **დეპოსა და მთავარ სახელოსნოების მუშა მოსამს. კრების რეზოლუცია.** შეერთებულმა მრავალ რიცხოვანმა კრებამ დეპოსა და მთავარ სახელოსნოების მუშა მოსამსახურეთა, რომელიც შესდგა 2 დეკემბერს ნაძალადევის კლუბის შენობაში, მოისმინა რა მოხსენება ამხ. კ მაჭარაძის და რკინის გზელთა კონფერენციის მიერ გაგზავნილი ამხანაგების მუშა-მოსამსახურეთა ეკონომიური მდგომარეობის შესახებ,—დაადგინა: 1) დაუყონებლივ გატარდეს ცხოვრებაში ცენტრალური ორგანოების მიერ მიღებული დადგენილება; ერთდროული დახმარების, პურის რაციონის გადიდებისა და სხვა საშუალების განხორციელება მუშათა კლასის ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად; 2) დაევალოს სათანადო ორგანოებს მიიღონ ყოველივე ზომები, რათა გატარდეს ცხოვრებაში ეკონომიურ თათბირზე გამოტანილი დადგენილება; 3) მოწესრიგებულ იქნეს შეშის საკითხი; 4) მოწესრიგებულ იქნეს ბინის საკითხი 5) ბოროტმოქმედების წინააღმდეგ საბრძოლველათ დაარსდეს კომისია, სადაც უნდა შევიდნენ მუშების წარმომადგენლები; 6) ჩამოერთვათ ყველა ბოროტმოქმედს ბოროტებით შექმნილი ქონება ხაზინის სასარგებლოთ.

◆ **მთავრობის თავმჯდომარის განცხადება.** გუშინ დამფუძნებელ კრებაში მთავრობის თავმჯდომარემ განაცხადა მთავრობაში მომხდარ ცვლილების შესახებ. ცალკე გამოყოფილია განათლების სამინისტრო, განათლების მინისტრად მოწვეულია გრ. ლორთქიფანიძე, რომელიც იქნება ამავე დროს მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე, სამხედრო მინისტრად მოწვეულია პ. ქიქინაძე. მიწათ-მოქმედების მინისტრად ნაცვლად ნ. ხომერიკისა, რომელმაც დასტოვა მინისტრობა, მოწვეულია დავ. ონიაშვილი. დანარჩენი მინისტრები დარჩნენ თავიანთ ადგილებს.

◆ **თავდაცვის ფონდი.** დღეს, საღამოს 7 საათზე დამფუძ. კრ. შენობაში დანიშნულია თავდაცვის ფონდის მთავარ გამგეობის სხდომა. განსახილველია სასწრაფოთ გადასაწყვეტი მრავალი ტექნიკური და საორგანიზაციო საკითხები. მოხსენებას გააკეთებენ სექციები მუშაობის გეგმის შესახებ.

◆ **საფრანგეთის უმაღლეს კომისრის ჩამოსვლა.** 2 დეკემბერს, საღ. 7 საათ. თფილისში ჩამოვიდა საქართველოში დანიშნული საფრანგეთის უმაღლესი კომისარი ბ-ნი შევალიე. უმაღლეს კომისარს სადგურზე შეეგებნენ: საგარეო საქ. მინ. ამხ. კ. საბახტარაშვილი, სამხ. მინ. ამხ. გენ. გედევანიშვილი, საფრანგეთის სამხ. და სამოქალაქო მისიის წევრები, შვეიცარიის ელჩი და სხვ. მატარებლის მოსვლისას სადგურის ბაქანზე გამწკრივებული იყო საპატიო ყარაული.

◆ **ყრილობა.** კვირას, დეკემბრის 5, დილის 10 საათზე, სახალხო სახლში შესდგება თფილისის სახელმწიფო დაწესებულებების მოსამსახურეთა საზოგადო ყრილობა. დღიურ წესრიგშია: 1) შრომის ხელშეკრულების კანონი და 2) ეკონომიური მდგომარეობა. ყრილობაზე მოწვეულნი არიან ფრაქციათა და სხვა ორგანიზაციათა წარმომადგენელნი.

◆ **სახელმწიფო უნივერსიტეტში.** დღეს, საღამოს 6 ს. შესდგება სოც. დემოკრატ სტუდენტთა მიურონი და მთავარ გამგეობის და კოოპერატივის გამგეობის სოც.-დემ. ფრაქციების წევრთა საერთო კრება.

◆ **ტექნიკურ საზოგადოებაში** კვირას 5 დეკემბერს დილის 11 ს. ეროვნულ (ყოფილ ფრეილინის) ქ. № 11 შესდგება საქართველოს ტექნიკურ საზოგადოების წლიური კრება. დღის წესრიგი: 1) გამგეობის მოხსენება 2) ანგარიში ფინანსიური მდგომარეობის შესახებ 3) სარევიზიო კომისიის მოხსენება 4) ახალი წევრების არჩევა 5) გამგეობის წევრთა არჩევა. კრება შესდგება რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს.

◆ **საბავშო დღესასწაული.** კვირას, 5 დეკემბერს, დილის 12 საათზე, მუშათა კლუბის თეატრში შესდგება საბავშვო დილა 2 განყოფილებათ. კონცერტში მონაწილეობას იღებენ ოპერის მომღერალი ქალი—ლიუდმილა დავითაშვილი, დრამის არტისტები—ო. ს. რადლინი და კ. ნ. უგრანოვი, დ ი. რეიმერგი და სახელმწიფო კონსერვატორიის უფროსი კლასის მოწაფენი ბალეტში—მონაწილეობას იღებენ სახელმწიფო ბალეტის არტისტები კონცერტი ბავშვებისათვის და მოწაფეებისათვის დიდათ საინტერესო მოვლენას წარმოადგენს.

◆ **სახალხო სახლი.** დღეს, 4 დეკემბერს სახალხო სახ. არს. ქარ. წარმომადგენების მართველი წრის მიერ, წარმოდგენილი იქნება „**კატასტროფა**“ დასაწყისი საღ. 8 საათზე. თეატრის გასათბობათ მიღებულია ზომები.

◆ **ელექტრონზე მომუშავეთა კავშირში.** კვირას, 5 დეკემბერს თეატრ „მინიონ“-ში დილის 10 საათ. შესდგება გაგრძელება ელექტრონზე მომუშავეთა პროფესიონალურ კავშირის საზოგადო კრებისა. დღის წესრიგში სდგას შემდეგი კითხვები: 1) კანონი შრომის ხელშეკრულების შესახებ, 2) ცნობა ფაბრიკა ქარხნების მეპატრონეთა საზოგადოებასთან მოლაპარაკების შესახებ, 3) საზოგადო კრებაზე აღძრული საკითხები კომიტეტებს სთხოვენ. ამ კრების შესახებ შეატყობინონ კავშირის ყველა წევრებს და გააფრთხილონ ისინი რომ კავშირის საზოგადო კრების ამა წლის 8 სექტემბრის დადგენილებით კავშირიდან გამოირიცხებიან ამხანაგები, რომლებიც არ დაესწრებიან ზედიზედ ამ საზოგადო კრებას.

◆ **დაიბეჭდა და იყიდება** საკუთარ წიგნის მაღაზიაში (რუსთაველის პროსპექტი, სასტუმრო „ორიანტის“ ქვეშ) წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ გამოცემული შემდეგი წიგნები; 1) აკიდო. წიგნი პირველი. დაწყებითი სკოლის მესამე განყოფილების კურსი. შედგენილი წ.-კ. გამ ვრც. საზ. მთავარი გამგეობის დავალებით კომისიის მიერ ბუნების კარის სალიტერატურო ნაწილის მაგიერ. 2) იაშვილი ს. მოკლე სახელმძღვანელო საზოგადო გეოგრაფიისა. აზია, აფრიკა, ამერიკა, ავსტრალია. 3) მისივე. მოკლე სახელმძღვანელო ბუნებისმეტყველებისა. ნაწ. 1. 4) მღვიმელი შ. ოქროს თავთავი. 5) მისივე. ცვარი. 6) მისივე. სამი ცელქი. 7) ჭონქაძე დ. სურამის ციხე. 8) ყაზბეგი ალ. ელისო. 9) ჭავჭავაძე ი. სარჩობელაზე, 10) მისივე. კაკო ყაჩაღი. 11) მისივე. განდეგილი. 12) ნინოშვილი ე. თხზულებანი მე 3 ტ. 13) გოგებაშვილი ი. ასპინძის ომი, 14) ელიოზიშვილი კ. ჭლექი და მისი წამლობა.

◆ **სახელმწიფო ოპერის თეატრი.** დღეს ოპერა მუშებისთვის: „მარგალიტის მაძიებელნი“.

◆ **შეცდომის გასწორება.** გუშინდელ ნომერში ბ. თეკლათელის წერილში შემდეგი კორექტურული შეცდომა არის შეპარული: სწერია: „ის ცნობები, რომელიც **ითხზება** და სხვა,—უნდა იყოს—„ის ცნობები, რომელიც **ინახება**“...

ქრონიკა.

— კვირას, 5 დეკემბერს დილის 10 საათზე დანიშნულია საზოგადო კრება ერობათა კავშირის მუშა-მოსამსახურეთა დღიურ წესრიგში შემდეგი კითხვებია: 1) საქმიმო დახმარების შესახებ, 2) მუნიციპალურ მუშა-მოსამსახურეთა კავშირთან შეერთების შესახებ, 3) შტატის შემცირება და 4) ეკონომიური მდგომარეობა მუშა-მოსამსახურეებისა.

პარტიული ფონდი

ამხ. ვალიკო ჯუღელის მოწოდება პარტიაში მუშაობის გამომცოცხლების და პარტიული ფონდის შესაქმნელათ ფრიად საყურადღებო და სადღეისოა.

პოლიტიკური თავისუფლების მოპოებამ და მეტადრე ცხოვრების ეკონომიური პირობების არევ დარევამ, პარტიულ მუშაობას, წინანდებური ხალისი და სიცოცხლე დაუკარგა. თითქოს ყველაფერი გავაკეთეთ, მიზანს მივახწიეთ! ნამდვილათ კი გაათკეცებული, წინდახედული და ფრთხილი ენერგიული მუშაობა ეხლაა საჭირო, რომ წვით და დაგვით მოპოებული თავისუფლება შევინარჩუნოთ, განვამტკიცოთ, საბოლოო მიზნები დავიახლოვოთ, რომ მით დღევანდელი გასაჭირი, აუტანელი კრიზისი და ჯოჯოხეთად გადაქცეული სიღარიბე შევიმსუბუქოთ.

პარტიის თვითეული წევრი უნდა იყოს დაინტერესებული ამ საერთო საქმის გაღვივება-გამოცოცხლებაში, ვინაიდან თუ პარტიული მუშაობა მინელდა, მოდუნდა, მაშინ თავის ჭეშმარიტ დემოკრატიულ გზას ადვილათ ასცილდება სახელმწიფოებრივ მექანიზმიც, რაც დიდ ზიანს მოუტანს ჩვენ პარტიულ შემოქმედებას და მის მომავალს. მართალია ცხოვრება ერთობ გაჭირდა; ჯამაგირის ხალხი დღეს საშიშარ მდგომარეობაშია, ეს არავისთვის აღარ არის საიდუმლო, მაგრამ მით უმეტეს საჭიროა მჭიდროთ შეკავშირება, ძველებური ენერგიით და სიხალისით ერთ ოჯახში თავის მოყრა, რომ სწორეთ ამ ერთსულოვანი მოქმედებით შევძლოთ ამ მძიმე ისტორიული გასაჭირისაგან დაუმარცხებლათ გამოსვლა, გადარჩენა. პარტიული მუშაობის გაჩაღებასთან ერთად, უნდა შეიქმნეს პარტიული ფონდი, სადაც შეძლების დაგვარათ ყველა ჭეშმარიტმა პარტიის გულშემატკივარმა წევრმა, დაუზარებლათ უნდა შეიტანოს თავისი წვლილი და მით დაამტკიცოს, რომ ის ნამდვილი პარტიის წევრია, რომ ის სიტყვას საჭიროების დროს საქმით აქცევს. მეც გაძლევთ ჩემს წვლილს 5000 მან. იმედია ჩვენი პარტიული ფონდი მალე გაიზრდება.

ხილია.

წავიკითხე რა ამხანაგ ვალიკო ჯუღელის მოწოდება—„მივხედოთ პარტიას, გავაძლიეროთ პარტიული მუშაობა და შევქნათ ფონდი“,—სულით და გულით ვუერთდები და ვიზიარებ მის მოწოდებას. ჩემის მხრით მე ვდებ ჩემს მცირედ წვლილს ფონდის გასაძლიერებლათ (1500 მანეთს).

პარტიის წევრი **მაშო კალანდაძე.**

იუსტიციის სამინისტროს განმარტება

გაზ. „საქართველო“-ში მოთავსებულია ვრცელი ფელეტონი, რომელიც ეხება ახალქალაქის (გორის მაზრა) რაიონის ამბებს. ბ-ნ მოხუცს, ამ ფელეტონის ავტორს, მოყავს ცნობები, რომელიც არ შეეფერება სინამდვილეს.

ბ-ნი მოხუცი გადაჭრით იძახის, რომ მრავალი მკვლელობა მოხდა ამ რაიონში და სასამართლოს ყურიც არ გაუბერტყავს. ფაქტები კი სულ წინააღმდეგს გვეუბნება. აი ზოგიერთი მათგანი:

1) ილია, ვასილ და კოტე ნაცვლიშვილების მკვლელობის გამო ერთი ბრალდებული კვერცხიშვილი ციხეში ზის, სუთაშვილი გაიქცა, და მის გაქცევის გამო დაპატიმრებულია მილიციონერი ქებაძე. კანდელაკიშვილი დღემდე ვერ უპოვნიათ.

2) კოლი და ლადო მეშველიძეების მკვლელობის გამო პასუხისგებაშია 4 კაცი, ამათგან სამი ციხეში ზის, ერთი იმ თავითვე ვერ იპოვნეს.

3) ალექსანდრა თარხან-მოურავის მკვლელობის გამო პასუხისგებაშია მიცემული 3 კაცი, ამათგან დაპატიმრებულია 2, ერთი დღემდე ვერ იპოვნეს.

4) კაპიტან კანდელაკის მკვლელობის

სათხოვარი სულთან

მეორე

გულდები პოეტს, რომელიც ჩემში არის.

არ მოისვენო,
არ მოისვენო,
სანამ არ მოკვდეს შენში განგება,
აინთე გრძნეულ იდუმალებით
და დაიცალე მზიურ ჰანგებათ.

ზომიერება შენთვის არ არი,
დაფერფლე შხამი გზებზე დარგული.
ბედი თეთრია და საზიზღარი,
ქვეყანა—ცოდვით შემოქარგული.

ვიცი რომ გიყვარს მშვენიერება.
გრიგალი იყოს შენი სავანე!
არსად არ არის ბედნიერება.
გაფრინდი სულო, ცად ამიყვანე!

ველარ გიხილოს ღმერთმა, ალაჰმა,
ხარ ანგელოზი და თვით სატანა.
შენი იმედის ბალი გადახმა
და არ გაშინებს სუსხის ატანა.

ცეცხლი, ელვაზე ჩამონათალი
შენშია ეხლა შემოპარული.
ასეთი არის ცრუ სამართალი.
არ არის ძმობა და სიყვარული.

ამაღლდი სულო!
ნუ გეძნელება!
ფრთები ცეცხლია და გზა გრძნეული.
ღალატი, შური, საშინელება
იყოს წყეული, იყოს წყეული.

როდესაც ქარი გისაამურებს
ფიქრებს ღამეში სადღაც გაქცეულს;
ნუ დაენდობი მაშინ ღამურებს
და ნურცა ლანდებს—გზებზე წაქცეულს.

მოიველე ღრუბლებს რისხვად და ზღვრად
დაწყევლილია ესე საწუთრო.
თორემ ცხოვრება არ ღირს არაფრად
ძაღლები ქუჩის მრავლდება უფრო.

არ მოისვენო!
არ მოისვენო!
სანამ არ მოკვდეს შენში განგება.
აინთე გრძნეულ იდუმალებით
და დაიცალე მზიურ ჰანგებათ.

ხარიტონ ვარდოშვილი.

ფრ. ენგელსის დღე

ამხ. ს. დევდარიანის სიტყვა.

ამხანაგებო!

ფრიდრიხ ენგელსი შესანიშნავია არა მარტო როგორც მეცნიერული მოაზროვნე, არამედ როგორც გატაცებული რევოლიუციონერი. და მისი რევოლიუციონური ტემპერამენტის სიძლიერე გაცილებით უფრო ადრე გამომჟღავნდა, ვიდრე მისი მეცნიერული ნიჭი. ის ბურჟუაზიული ქვეყნიდან იყო გამოსული და მთელი მისი არსებით დაკავშირებული იყო ამ ქვეყანასთან; მაგრამ უკვე ბავშობაში ის ჩაუდგა ოპოზიციაში ამ სამყაროს. ბურჟუაზიული ქვეყანა მაშინ კრიზისს განიცდიდა. საგრძნობი და მოსალოდნელი იყო 48 წლის მოახლოვებული ქარიშხალი. საზოგადოებრივ ატმოსფერაში საგრძნობი გახდა მომავალი რევოლიუციონური ქარიშხალი ენგელსი მთელი თავისი გატაცებით უპასუხებდა ამ განცდებს სალიტერატურო ასპარეზზე, ის ძალიან ადრე—18—19 წლის ახალგაზრდა გამოვიდა. პირველად მან გაშინჯა თავისი ძალ-ღონე პოეზიაში: ის ეკიდებოდა ახალ ლიტერატურულ სკოლას—„ახალგაზრდა გერმანია“-ს. მაგრამ მალე ის დარწმუნდა, რომ ლიტერატურის ისტორიაში ის, როგორც პოეტი, ვერ შევიდოდა. და პოეზიიდან ის პუბლიცისტიკაზე გადავიდა, იცავდა თავის წერილებში, „ახალგაზრდა გერმანია“ს რეაქციონურ ბანაკის თავდასხმებისაგან, თუმცა თვითონაც არ იყო დიდი აზრისა ამ სკოლის ესთეტიურ ღირებულების შესახებ. ამ ლიტერატურისაკენ მას იზიდავდა მისი სამოქალაქო და რევოლიუციონური მოტივები.

ძველ ქვეყანასთან კავშირის გაწყვეტა მალე იდეოლოგიის სხვა სფეროებშიაც მოხდა. ის, როგორც ცნობილია,—ეკუთვნოდა მორწმუნე ოჯახს და თვითონაც ღრმა მორწმუნე იყო. მაგრამ მისი მოუსვენარი მაძიებელი სული ვერ შეურიგდა რელიგიის უძრავ დოგმატებს. მის ახალგაზრდობის კერძო წერილებში ჩვენ ვხედავთ იმ მტანჯველ ეჭვებს, რომლებმაც ის მართლმორწმუნე მეგობრებისაგან მიიყვანა თავის დროის ათეისტებთან.

უფრო ადვილი იყო იმისათვის თავის წრისგან წასვლა ფილოსოფიის სფეროში. ის ჯერ კიდევ ჭაბუკი იყო, როდესაც ყაზარმაში დასწერა პატარა შრომა შელინგის შესახებ, რომელშიაც მან ბრძოლა გამოუცხადა რეაქციონურ ფილოსოფიურ აზროვნებას.

ძველ ქვეყანასთან კავშირი შენარჩუნებული იყო მხოლოდ პოლიტიკაში. ის პირველათ ზომიერი იყო და რადიკალიზმის გზაზე. მხოლოდ ინგლისში გადასახლების შემდეგ შესდგა. იქ გადახსნა ფართო ასპარეზი ახალ შეხედულებების და დაკვირვებების. ინგლისი იყო ყველაზე მეტად განვითარებული სამრეწველო ქვეყანა. იქ მუშათა მოძრაობამ გამონახა მაშინ თავისი უმაღლესი ფორმა. ის იქ ერთს და იმავე დროს ორს ორგანოებში მუშაობდა—უტოპისტ-სოციალისტების-ოუენისტების და ჩარტისტების ორგანოებში. აქ უშუალო დაკვირვებათა გამო ის მივიდა იმ აზრამდის, რომ მუშათა კლასის განთავისუფლება სრულიადაც არ არის დამოკიდებული გაბატონებულ კლასთა კეთილშობილებასა და თანაგრძნობაზე. მან უკუაგდო ეს უტოპიური აზრები და გაიგო, რომ თვით სინამდვილე ჰქმნის მუშათა კლასის განთავისუფლების პირობებს. მისი ნაშრომი „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკის ნაწყვეტი“ იყო პირველი ნაწარმოები მეცნიერულ-სოციალისტური აზრისა. მეორე ნაშრომი—„მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში“, როგორც თვით ენგელსმა აღნიშნა შემდეგ გამოცემის წინასიტყვაობაში, იყო თანამედროვე სოციალიზმის პირველი სიტყვა. ასე, მარქსისაგან დამოუკიდებლათ, ენგელსი მივიდა მარქსისტულ იდეებთან.

მალე მათ გაიცნეს ერთმანეთი და დაიწყო მათი მეტათ ინტიმური მეგობრობა და სიკვდილამდის არ შეწყვეტილა შეერთებული მუშაობა—როგორც თეორიაში, ისე პრაქტიკის სფეროში. მათ თავის დაახლოვების დასაწყისშივე ერთად დასწერეს წიგნი: „წმინდა ოჯახი ანუ კრიტიკა კრიტიკული კრიტიკისა“. მათ სასტიკათ გააკრიტიკეს ფილოსოფიური აზრები ძმ. ბაუერების, რომლებიც ძლიერ მაღლა აყენებდენ ისტორიულ პროცესში პიროვნებების—გმირების როლს და სრულიად ამცირებდნენ მასების როლს. იმავე წიგნში მარქსმა და ენგელსმა დაასაბუთეს ისტორიის მატერიალისტურათ შემეცნების შეხედულება: განვითარების მსვლელობა დამოკიდებულია არა კერძო პიროვნებათა თუნდაც მეტათ გამოჩენილ გმირების ნებისყოფაზე, არამედ მატერიალურ პირობებისაგან. რასაკვირველია, პიროვნების ყოფ ქცევას გავლენა აქვს ამ პირობებზე, მაგრამ იმისათვის რომ მას ჰქონდეს გავლენა, საჭიროა ის ამ პირობებს შეესაბამებოდეს. ეს დასკვნა გააკეთეს მარქსმა და ენგელსმა თავის მეცნიერულ დაკვირვებების მხედველობაში მიღების შემდეგ ჯერ კიდევ 48 წლის რევოლიუციამდე. ამ თეორეტიულ იარაღით ისინი გადაეშვნენ დაწყებულ რევოლიუციონურ ბრძოლაში. იმათი ინიციატივით ჯერ კიდევ 1847 წელს შესდგა „კომუნისტების კავშირი“—ეს პირველი ინტერნაციონალის წინამორბედი. ამ კავშირის დავალებით მათ დასწერეს ცნობილი კომუნისტური მანიფესტი. არ შევჩერდები ამაზე, ის ყველამ იცით.

ეხლა მე არ შემიძლია დაწვრილებით შეჩერება იმათ მეცნიერულ და პრაქტიკულ მოღვაწეობაზე; ამისი დრო არა მაქვს. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ რევოლიუციის შემდეგ, იმის შემდეგ, რაც სოციალისტურ გადატრიალების ახლო მომავალში მოხდენის იმედის გაცრუება ცხადი გახდა, ისინი კვლავ, მთელის ენერგიით მიეცნენ თეორიულ მუშაობას: „კაპიტალის“ პირველი ტომი დაწერილია არა მარტო მარქსის, არამედ ენგელსის მიერაც. არც ერთი კორექტურის გვერდი, არც ერთი სტრიქონი არ დაუბრუნებია მას სტამბაში ისე, რომ ის წინასწარ არ გაესინჯა ენგელსს. მარქსის სიკვდილის შემდეგ კი ენგელსმა რედაქცია გაუკეთა და გამოაქვეყნა იმავე უკვდავი წიგნის მეორე და მესამე ტომები. მან რამდენიმე წელი მარქსზე მეტი იცოცხლა და ვერ მოასწრო სიცოცხლეშივე გამოეცა თავის მეგობრის მთელი ლიტერატურული მემკვიდრეობა. ენგელსის სიკვდილის შემდეგ კი მის დამუშავებას შეუდგნენ ბებელი, ბერნშტეინი, მერინგი და კაუცკი. თანდათან წლიდან წლობით გამოდიოდა წიგნები და წერილები სოციალისტური აზროვნების ორივე ბუმბერაზისა. ჯერ გამოვიდა „ლიტერატურული მემკვიდრეობა“ 4 ტომათ. იქ შევიდა ფილოსოფიური, კრიტიკული და პოლიტიკური წერილები, დაწერილი 1850 წლამდის. ამას წინათ, მსოფლიო ომის დასაწყისში გამოვიდა გერმანულ ენაზე ოთხტომიანი მიწერმოწერა მარქსსა და ენგელსს შორის, რომელშიც შევიდა წერილები 1844 წლიდან 1883 წლამდის—მარქსის სიკვდილამდის. ამ მიწერმოწერის მიხედვით, ისინი ვით არწივნი დასცქეროდნენ მაღლიდან მთელ ქვეყანას, არ უშვებდნენ დედამიწის არც ერთ კუთხეს, არც ერთ დიდსა და პატარა საკითხს. ჰკითხულობთ ამ წერილებს და გიკვირთ ადამიანის სულის სიძლიერე. ბოლოს, სულ უკანასკნელ ხანში, ორი წლის წინათ გამოვიდა 1850 წლის შემდეგ დაწერილი წერილები. ისინი ეხებიან ეხლა ყველაზე უფრო საინტერესო და საყურადღებო აღმოსავლეთის საკითხს. რომ ეს წერილები ჩვენ ეხლა ხელთა გვქონდეს—ეს მეტათ გაგვიადვილებდა ჩვენ იმ ისტორიულ დავაში გარკვევას, რომელიც ეხლა ხდება აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის.

პროლეტარიატის ფართო წრეები არ იცნობენ ყველაფერს, რაც მარქსის და ენგელსის მიერ არის დაწერილი. პროლეტარიატი ყოველგან მოელის მის გამოქვეყნებას.

ეხლა ორი რევოლიუცია ებრძვის ერთი მეორეს მარქს-ენგელსის მსოფლმხედველობისათვის. იმაზე აცხადებენ პრეტენზიებს რევოლიუციონური რუსეთი და რევოლიუციონური საქართველო. ჩვენს შორის შეიძლება დაიდოს როგორიც გინდათ ხელშეკრულებანი, შეიძლება ადგილი ჰქონდეს ყოველნაირ კომპრომისებს. მაგრამ ამ იდეოლოგიურ ფრონტზე შეუძლებელია რაიმე კომპრომისი, აქ გაგრძელდება ბრძოლა ან სრულ გამარჯვებამდი, ან დამარცხებამდე. მარქსსა და ენგელსს ჩვენ არ დავთმობთ და გვაქვს კიდეც ამის საბუთი. ენგელსმა გამოთქვა თავისი აზრები რუსეთის რევოლიუციისა და ჩამორჩენილ ქვეყანაში სოციალურ რევოლიუციის შესაძლებლობის შესახებ. რუსეთში იყვნენ რევოლიუციონერები, რომლებსაც სწამდათ ეს შესაძლებლობა დასავლეთ-ევროპას დამოუკიდებლათ. მე ხელთა მაქვს პატარა წიგნაკი, „ენგელსის წერილები 1871—75 წლებში“. აქ ის ამტკიცებს, რომ სოციალიზმის წინამძღვარი—კაპიტალიზმია და რომ ეკონომიურათ ჩამორჩენილი რუსეთი მხოლოთ იმ შემთხვევაში მიეკიდება სოციალისტურ რევოლიუციას, თუ ის დასავლეთ ევროპაში დაიწყება. ასევე ფიქრობდა მარქსიც.

პლეხანოვი, რომელიც თავის აზროვნების სიძლიერით ენგელსის თანასწორი იყო, იძლეოდა გაფრთხილებას, რომ თუ რომელიმე პარტიის მოღვაწეობა არ შეეფერება განვითარების ობიექტიურ პირობებს, მაშინ ის მალე მიიღებს ძლიერ გაკვეთილს სინამდვილისაგან, ან-და ამ შეუთანხმებლობის მსხვერპლი გახდება. ღრმა მწუხარებით, რომელიც სჩვევიათ დიდ პიროვნებებს, პლეხანოვს დღეს შეეძლო დაენახა, რომ მისი წინასწარმეტყველება გამართლდა რუსეთისათვის. ამ ქვეყნის ოქტომბრის ბელადები არ უწევდნენ ანგარიშს ობიექტიურ შესაძლებლობას, მათ სურდათ თან გაეყოლათ დასავლეთი ევროპა, ხოლო ეხლა ადგილი აქვს მათ კაპიტულიაციას ევროპის კაპიტალიზმის წინაშე. თანამედროვე რუსულ სინამდვილეში მარქსიზმა თავისი ბრწყინვალე გამართლება ჰპოვა. ქვეყანაზე არ არის და არც როდისმე ყოფილა ბოლშევიკებზე უფრო ენერგიული პარტია, და თვით ამ ენერგიამაც კი ვერ შესძლო განსაზღვრულ მატერიალურ პირობების გადალახვა. ამავე ამბობდნენ მარქსი და ენგელსი. რუსეთში ამართლებდნენ ყოველივე იმათ სიტყვას იმით, რომ ყოველივე ნაბიჯზე უარყოფდნენ მას.

მაგრამ ენგელსს მოუხდა თავის აზრების გამოთქმა რუსეთის რევოლიუციის სხვა საკითხების შესახებაც. თქვენ ალბათ გახსოვთ მარქსის წიგნი „კლასთა ბრძოლა საფრანგეთში“ და ენგელსის მიერ დაწერილი ამ წიგნის წინასიტყვაობა, და იცით, თუ რა მნიშვნელობას აძლევდა ის საყოველთაო არჩევნების უფლებას, დემოკრატიას. დემოკრატიზმს ის არასოდეს არ უპირდაპირებდა დიქტატურას. მუდამ ამტკიცებდა მხოლოდ, რომ პროლეტარიატის დიქტატურა უნდა ეყრდნობოდეს დემოკრატიაზე, უმრავლესობის ნებისყოფაზე ენგელსი უარყოფით, ზიზღითაც კი უყურებდა რევოლიუციურ უმცირესობის გაბატონებას უმრავლესობაზე. მთავრობა, რომელიც მხოლოდ ძალდატანებაზე ემყარება, ენგელსის აზრით, არ არის რევოლიუციონერი მთავრობა.

მე დარწმუნებული ვარ, რომ თუ მოხდება სასწაული, თუ კი ის წარმოსდგებოდა საფლავიდან, შევიდოდა რომელიმე სოციალისტურ დელეგაციის შემადგენლობაში და დღევანდელ რუსეთს ინახულებდა, მაშინ იმას უსათუოთ გამოაცხადებდნენ რენეგატათ და კონტრ-რევოლიუციონერად. მას ისევე მოექცეოდნენ, როგორც კაუცკის. რუსეთის მიერ უარყოფილი კაუცკი ეხლა ჩვენს შორის არის. კაუცკი, რომელსაც ჰქონდა პირადი კავშირი მარქსთან და ენგელსთან, ჩვენთან არის. და აქ მას შეუძლია დაინახოს, რომ ჩვენ დავადექით იმ იდეალების განხორციელების გზას, რომლებისათვისაც ის მარქსსა და ენგელსთან ერთად იბრძოდა თეორიაში. აქ ჩვენს ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობაში მას შეუძლია დაინახოს მარქს-ენგელსის მიერ ნაანდერძევ რევოლიუციონურ მეთოდების განხორციელება.

კაუცკის ჩვენს შორის ყოფნა—ეს არის უდიდესი სიმბოლო ჩვენი შინაგან კავშირისა დასავლეთ-ევროპის სოციალიზმთან. ჩვენთან არის კარლ კაუცკი, ჩვენთან არიან მარქსი და ენგელსი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამო პასუხისგებაშია მიცემული 7 კაცი, ყველანი დატუსაღებული არიან.

5) შატბერაშვილის და სხვ. მკვლელობა გაირჩა უკვე სასამართლოში 1919 წ. 19 მაისს და 2 ბრალდებულს მიესაჯა დახვრეტა, რაც სისრულეში იქნა მოყვანილი. ასეა დანარჩენი საქმეების შესახებაც.

მხედველობაში თუ მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ამ საქმეთაგან თითქმის ყველა მორთ-მოქმედებას (გარდა თარხნიშვილის და კანდელაკის მკვლელობისა) ადგილი ჰქონდა 1918 წელს და ნაწილს 1919 წლის დასაწყისში, ადვილი მისახვედრი იქნება, რომ მეტის ღონისძიების გაკეთება არც სასამართლოს და არც ადმინისტრაციას არ შეეძლო.

აქვე საჭიროთ ვთვლი აღვნიშნოთ, რომ ბ. მახუცის მიერ მოყვანილი საქმეების შინაარსი უმეტეს ნაწილათ არ შეესაბამება სიმართლეს და ჩვენთვის გაუგებარია, რათ დასჭირდათ მათ ასე აჩქარება და გამოძიების დათავებისთვის არ დაცდა.

უცხოეთი

შვეცია

შვეციის კომუნისტები და მე-3 ინტერნაციონალი. „ჰუმანიტე" შემდეგ ცნობას აქვეყნებს: შვეციის კომუნისტურ პარტიის აღმასრულებელმა კომიტეტმა 13 ხმით წინააღმდეგ 2-ხმისა მიიღო მოსკოვის პირობები, მაგრამ ამასთანავე შეზღუდა ეს პირობები იმ ნაწილში, რომელიც ეხება კომუნისტურ საერთაშორისო პრესას და მე 3 ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტის ტაქტიკას. შვეციის კომუნისტები დაჟინებით მოითხოვენ, რომ მე-3 ინტერნაციონალის „ისპოლკომმა" მომავლისათვის მიიღოს მხედველობაში სხვადასხვა ქვეყნების მდგომარეობის თავისებურობანი და გამოიტანოს, რამდენათაც შესაძლებელია, ნაკლებად საერთო ხასიათის გადაწყვეტილებანი.

რეზოლუცია შემდეგ მოითხოვს, რომ შვეციის კომუნისტებმა უზრუნველჰყონ თავისი თავი ყოველივე ბიუროკრატიულ მეთოდებისაგან და დასტოვონ წესდების შესწორების უფლება უახლოეს საერთაშორისო კონგრესზე.

ინგლისი

ინგლის-საფრანგეთ-ბელგიის ხელშეკრულობა. საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგმა გერმ.-ვორტმა თემთა პალატაში მიცემულ შეკითხვაზე პასუხის გაცემის დროს განმარტა, რომ არც საფრანგეთს და არც ბელგიას არ მოუწვევიათ ინგლისი—მიეღო მონაწილეობა ეხლახან დადებულ საფრანგეთ-ბელგიის ხელშეკრულობის გამომუშავებაში. ამ ხელშეკრულობის პირობების შესახებ ბრიტანეთს არაფერი არ იცოდა ამიტომ ამ ხელშეკრულობას არ შეეძლო შეეცვალოს ბრიტანეთის მიერ ვალდებულობანი ბელგიის მიმართ.

შეერთებული შტატები

გარდინგი და ლენინი. „ტან"-ს ვაშინგტონიდან შემდეგს ატყობინებენ: საგარეო საქმეთა სტატს-სეკრეტარმა კოლბიმ განაცხადა, რომ იმ ცნობებით, რომლებიც მოიპოვება სახელმწიფო დეპარტამენტში,—ერთი ამერიკელი, რომელიც თავის თავს რესპუბლიკანურ კანდიდატის—გარდინგის წარმომადგენლათ აცხადებდა,—ეს ამერიკელი აწარმოებდა მოლაპარაკებას ლენინთან და ამასთანავე რუსეთის დიქტატორს რამოდენიმე წინადადება მისცა, რომლებიც ეხებოდა შეერთებულ შტატების მიერ საბჭოთა მთავრობის ცნობას იმ შემთხვევაში, თუ რესპუბლიკის პრეზიდენტათ არჩეული იქნებოდა გარდინგი. კოლბიმ დაუმატა, რომ ამ გარდინგის სახელით დაწყებულ მოლაპარაკების შესახებ სახელმწიფო დეპარტამენტმა მიიღო ცნობები შეერთებულ შტატების კომისრისაგან რიგაში—მისტერ იუნგისაგან უკანასკნელი თავის ანგარიშში ამბობს, რომ ლენინმა შეატყობინა რუსეთში მყოფ ამერიკელს—უფლის მოსკოვში ვილაც ვანდერლიპის ჩამოსვლის შესახებ, რომელსაც დავალებული აქვს გამორკვევა შეერთებულ შტატების მიერ საბჭოთა მთავრობის ცნობის საკითხისა. ვანდერლიპმა თავისი თავი გააცნო გარდინგის გამოგზავნილათ. კოლბიმ ხაზი გაუსვა იმას, რომ სახელმწიფო დეპარტამენტს არავითარი ეჭვი არ ეპარება იუნგის მოხსენების შემოწმებაში.

მეორე მხრივ, მარიონიდან (ოგიო) ატყობინებენ: გარდინგმა, გაეცნო რა იმ ბრალდებებს, რომლებიც წამოაყენა მის წინააღმდეგ საგარეო საქმეთა სტატს-სეკრეტარმა კოლბიმ,—განაცხადა, რომ იუნგის მოხსენებაში მოყვანილი გარემოებანი მან არ იცის. „არასდროს—განაცხადა გარდინგმა—არავინ გამიგზავნია მე ლენინთან მოსალაპარაკებლათო.

სრ. საქ. საავათმყოფო კასების პირველი კონფერენციის გამო

(მცირე შენიშვნა)

დღეს ქ. ტფილისში უნდა გაიხსნას სრულიად საქართველოს საავათ კასების პირველი კონფერენცია.

დიდი ხანია მოელის ამ კონფერენციას საქართველოს მუშათა კლასი და ჩვენ გვჯერა, რომ ეს კონფერენცია გაამართლებს მის მოლოდინს.

ყველა შეგნებული მუშა გრძნობს, რომ კონფერენციის წინ უდევს გადასაწყვეტათ მეტათ მძიმე და რთული კითხვები. დღემდის, როგორც ვიცით, უმთავრესი საკითხები მუშათა სოციალური დაზღვევისა არ არის ჩვენში გადაჭრილი.

ამის მიზეზი ბევრია და ახლა ამას არ გამოვუდგებით. მაშ რა გზას დაადგება კონფერენცია: დღესვე დაჟინებით მოითხოვს სრულ „სახელმწიფოებრივ დაზღვევას", დაჩქარებით შემოღებას, თუ როგორც სხვა დარგებში, აქაც შეცდება მუშათა კლასის ინტერესები შეუთანხმოს იმ დემოკრატიულ სახელმწიფოს ინტერესებს, რომელ სახელმწიფოსაც ეს მუშათა კლასი დღეს ქმნის და შიგნით და გარეთ თავისი სისხლით იცავს?..

კონფერენციამ, ჩვენის აზრით, გადაჭრით უნდა მოსთხოვოს შრომის სამინისტროს ახსნა-განმარტება იმის შესახებ, თუ რა მიზეზების გამო დაგვიანდა დღემდის სოციალურ დაზღვევას კანონმდებლობა და შესაფერისი კანონ-პროექტების ჩვენს დამფუძნებელ კრებაში შეტანა...

მანვე უნდა თავის კრებაზე განიხილოს დაწვრილებით აგრეთვე ის ორი კანონ-პროექტი: ავათმყოფობის და უბედურ შემთხვევათა დროს დახმარების შესახებ, რომლებიც, როგორც გვესმის შრომის სამინისტროს უკვე შეუმუშავებია და სამინისტროს პორთფელში უძევს.

კონფერენცია დიდი სიფრთხილით და ყურადღებით უნდა მიექცეს აგრეთვე იმ „საორგანიზაციო ცენტრის" შექმნას, რომელიც განზრახულია კონფერენციის მომწვევ კომისიისგან. ამ ცენტრში უნდა შევიდნენ უპირველესად ისეთი პირები, რომლებიც შეურყევლათ დგანან საქართველოს სახელმწიფოებრივ ნიადაგზე და მასთან სოციალურ დაზღვევის ფართო პრაქტიკა ასე თუ ისე შესწავლილი აქვთ.

გარდა ამისა უნდა გადაჭრით აღიაროს კონფერენციამ, რომ საქმის წარმოება რესპუბლიკის ყველა კასებში სახელმწიფო ენაზე მოეწყოს და ბოლო მოეღოს იმ თარჯიმნობას, რომელიც დღესაა გაბატონებული დაწყებული სატახტო ქალაქიდან ვიდრე პროვინციამდე.

ჩვენ გვჯერა, რომ პირველი კონფერენცია ჩაუყრის საფუძველს ჩვენში მუშათა სოციალური დაზღვევის კითხვებს ისეთი თვალსაზრისით, რომლებზედაც შეურყევლათ იდგა პირველი საქართველოს პროფ. კავშირების ყრილობა წარსულ წელს და პირველი სრულიად საქართველოს კოოპერატიული ყრილობა მიმდინარე წელს.

ახალი.

მოწოდება

სახელმწიფო კონტროლის მოსამსახურეთა კომიტეტი აცხადებს ყველა სახელმწიფო მოსამსახურეთა საყურადღებოდ, რომ სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეების გამგეობის თაოსნობით კვირას, დეკემბრის 5-ს, დილის 10 საათზე ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში მოწვეულია ქ. ტფილისის ყველა სახელმწიფო მოსამსახურეთა საერთო ყრილობა.

ყრილობის განსახილველი საკითხები: 1) შრომის ხელშეკრულება და 2) ეკონომიური მდგომარეობა.

ვინაიდან მიზანი ყრილობისა უაღრესად მნიშვნელობა მოსამსახურეთათვის თავისი უფლებრივი და ეკონომიური შინაარსით, ამიტომ სახელმწიფო კონტროლის მოსამსახურეთა კომიტეტი მოუწოდებს ყველა სახელმწიფო მოსამსახურეთ, რომ მათი ყრილობაზე დასწრება აუცილებელია მათივე უფლების განსამტკიცებლად. დროა შევიგნოთ თვითეულმა სახელმწიფო მოსამსახურემ, რომ თუ ჩვენ თითონ არ ავიმაღლებთ ხმა, თუ ჩვენ თვითონ არ დავდგებით რეალურ საფუძველზე და მით საშუალება არ მივცეთ რესპუბლიკის შესვეურთ, რომ ჩვენთან იქონიონ საქმე, როგორც მთლიან განუყრელ ძალასთან, მუშათა კლასთან ერთად, დარწმუნებულნი უნდა ვიყოთ, რომ ყოველთვის გარიყული ვიქნებით და ის, რის შექმნაში მონაწილეობა არ მიგვიღია, არც ზნეობრივი უფლება გვექნება მოვითხოვოთ.

ერთხელ კიდევ მოვაგონებთ ამხანაგებს, რომ დაესწრონ კვირას დეკემბრის 5-ს დილის 10 საათზე საერთო ყრილობას.

სახელმწ. კონტრ. მოსამსახურეთა კომიტეტი.

ს.-დ. პარტიაში

ხიდ. ჯანი (გურია). ამ სოფელში ს.-დ. მუშაობას კარგი ხნის ისტორია აქვს. ასეთი მუშაობა 1903 წლიდან დაიწყო. მართალია, ამ ხნის განმავლობაში ხანგამოშვებით პარტიული მუშაობა ფერხდებოდა. ზოგი ძველი მოღვაწე ჩამოშორდა კიდეც პარტიულ ცხოვრებას, მაგრამ მათ მიერ ერთხელ გარკვეული და ნაჩვენები გზა სამაგალითო და მისაბაძი შეიქნა ახალგაზრდობისათვის. დღეს ამ სოფლის „იაჩეიკაში" ირიცხება 35 პარტიის წევრი. სიამოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ შეგნებული ახალგაზრდობის უმრავლესობა დაინტერესებულია პარტიული ცხოვრებით და არ უნდა ორგანიზაციის გარეშე დარჩეს. მუშაობა „იაჩეიკაში" სოფლის ცხოვრების პირობაზე სასურველად მიდის, ისმენენ მოხსენებებს თანამედროვე მომენტზე, ეცნობიან გაზეთების საშუალებით და შეძლების დაგვარად არჩევენ სხვადასხვა პოლიტიკურ კითხვებს და სხვ.

ამ ბოლო დროს ცოტათი შეფერხდა სისტემატიურად კრებების მართვა და წევრთა მიერ პარტიული მოვალეობების შესრულება; მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთი მოვლენა დროებითია, გამოწვეულია ცუდი ამინდებით და მოძალებული მინდვრის მუშაობით. მომავალში ამას, რასაკვირველია, ადგილი აღარ ექნება.

13 ნოემბერს მოწვეულ იყო „იაჩეიკის" არაჩვეულებრივი კრება. დღის წესრიგში ბევრი კითხვებია დასმული, მაგრამ წევრთა საკმაო რიცხვის გამოუცხადებლობის გამო, მათი გარჩევა გადაიდო შემდეგ კრებისთვის. კრებამ იქონია მსჯელობა მხოლოდ გვარდიელთა და სათადარიგო ჯარისკაცთა მობილიზაციის შესახებ. კრება მოკლედ გაეცნო პოლიტიკურ მომენტს, რესპუბლიკის მდგომარეობას, რის გათვალისწინების შემდეგ კრება ნდობას უცხადებს და იწონებს მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს და ადგენს—იქნას მიღებული სასწრაფო ზომები სათადარიგო ჯარისკაცთა და გვარდიელთა მობილიზაციის წესიერად ჩასატარებლად.

თავის წრიდან იაჩეიკა ასახელებს და გზავნის 10 გვარდიელს. გვარდიელები და ჯარისკაცები 15 ნოემბერს გაემგზავრნენ დანიშნულ ადგილას. მომავალი კრების დანიშვნა მიენდო პრეზიდიუმს. საჭიროა წევრებმა მეტი სიფხიზლე და უნარი გამოიჩინონ კრებებზე დასწრებაში და პარტიულ მოვალეობების შესრულებაში. ვანელი.

მუშათა შორის

ტფილისის საქონლის სადგურის მუშათა ცხოვრებიდან.

ყველასათვის ცხადია, რა მძიმე პირობებში იმყოფებიან ტფ. საქონლის სადგურის მუშები; წინათ და ეხლაც ჯამაგირის სიმცირე სიძვირე და ათასნაირი ეკონომიური გაჭირვება, მაგრამ ეს მუშები ითმენენ ყოველივე გაჭირვებას იმიტომ, რომ განემტკიცებინათ რევოლიუცია და შეენარჩუნებინათ საქართველოს დამოუკიდებლობა. სწორეთ ეს შეხედულება ჰქონდა მუშებს წინეთ და ეხლაც და იმიტომ ითმენ ეს უმძიმესი ეკონომიური გაჭირვება; დღესაც მუშები დიდ გაჭირვებაში არიან ჩავარდნილი, მაგრამ საშველი არსაიდან არის. აქაური მუშები თვეში იღებულობენ 4300 მანეთს, მაშინ, როდესაც სხვა დაწესებულებებში მუშების ჯამაგირი მეტია. ვერ წარმომიდგენია რისთვის ხდება ეს? ყველა ეს იწვევს მუშებში უკმაყოფილებას. ნუ თუ ეს გარემოება ანგარიშის გასაწევი არ არის?

ხშირათ შევხვდებით, რომ მუშები ამას ეუბნებიან ერთი-მეორეს, რომ ჩვენ რა დავიმსახურეთ და იმათ რა გააკეთეს. შეიძლება თამამად ვსთქვა, რომ მთელი სიმძიმე ომის დროის რკინის გზის მუშებმა გადაიტანეს და რევოლიუციის მოპოვებაში და მის მონაპოვართა განმტკიცებაში თვალსაჩინო ადგილი დაიკავეს. მათ ეკონომიურ გაჭირვებას დღეს ყურადღება უნდა მიექცეს. ტფილისის საქონლის სადგურში დაახლოვებით 120 დარაჯია. ისინი მორიგეობენ კვირა-უქმე დღესაც. თხოულობენ კვირა-უქმე დღეების ფულს, მაგრამ ამ სამართლიან მოთხოვნილებას ადმინისტრაცია ყურადღებას არ უწევს. დაჩქარებით უნდა მოგვარდეს ეს საქმე, თორემ დარაჯების მოთმინებასაც საზღვარი ექნება.

ს. ქრისტეფორაშვილი.

ჭიათურის შავ-ქვის ქარხნების და მაღაროების მუშათა ცხოვრებიდან.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჭიათურის კაპიტალისტ-მრეწველები არასდროს არ აქცევდნენ ყურადღებას მუშების ბინების აშენება გაუმჯობესებას. მაგრამ დღეს ყველაზე უფრო დავიწყებული აქვთ მათ ეს საქმე 1904—5 წლებიდან 1917 წლამდე მუშების მიერ წაყენებული პირობების შორის ყოველთვის მეორე რიგის მოთხოვნილება—ბინის საკითხი იყო ხოლმე. ამ გაფიცვის დროს მუშები თითქოს იმარჯვებდნენ და მიიღეს კოლექტიური ხელშეკრულება, რომელთაც მუშებს ბინა უნდა მისცემოდათ, მაგრამ ეს სიტყვათ რჩებოდა და მუშები ისევ ისე ნესტიან ოთახებში და ხშირად თვით მაღაროებში ცხოვრობდნენ. ზოგიერთ მწარმოებელთ აქვთ მაგრამ ისეთი, რომელშიდაც ადამიანი პირუტყვებსაც კი არ დაამწყვდევს. ამას ყურადღება მიაქცია შრომის სამინისტროს რწმუნებულმა მ. ჯაჯანიძემ, რის გამო მოიწვია ჭიათურის ყველა მწარმოებლები და გამოიტანეს დადგენილება, რომ შორს მცხოვრებ მუშებისთვის მწარმოებლებმა უნდა შეაკეთონ ბინები (სანამ ახალ და საღ ბინებს ააგებდენ), ხოლო ახლო მახლო სოფლის მცხოვრებით, რომლებსაც სოფლებში მოეხერხებით სიარული, მათ ეძლევათ ბინის ქირათ 700 მან. თვეში. ამ დადგენილების გამოტანის შემდეგ სამი თვე გავიდა და მგონი მრავალი თვეებიც კიდევ გავლიან სანამდე ამ დადგენილებას შეასრულებენ ამას სჩადიან ისეთი დიდი ფირმები, როგორიც „კავკასიის სამთო მადნო ამხანაგობა", ძმები „მიუკსემი" და სხვა, რომლებსაც თამამათ შეუძლიანთ გააკეთონ მუშებისთვის ბინები. ამ მხრით ყველაზე უფრო შორს წავიდა „კავკასიის სამთომადნო ამხ. ფირმის წარმომადგენელი ბ. ალექსანდრე გრიგორიაშვილი, რომელსაც მუშები უჩიოდნენ არც ბინა მოგვცა და არც ბინის ფულს გვაძლევსო, რის საპასუხოთაც პროფ. კავშირს ბ. ალექსანდრე გრიგორიაშვილი სწერდა: „არას თვრამეტი კაცის ბინა მაქვს და რადა ეგენი ვერ დაეტიენ შიგა" ამ პასუხის შესამოწმებლათ ადგილობრივ წავიდა შრომის სამინისტროს რწმუნებული და ნახა რომ ბ. გრიგორიაშვილს მართლაც მიუცია მუშებისთვის ისეთი ბინა, რომელსაც აღარც მინები აქვს და აღარც დახურული იატაკი, რომელშიდაც სრიალით იკრუნჩხებოდენ მუშები. მათთვის არ მიუცია ფეჩი, არ მიუცია ნაჯახი შეშის დასაჭრელი, წყლის დასალევი ჭურჭელი, ჩაიდ, განათებელი ლამპა და მრავალი სხვა. ამის გამო შრომის სამინისტროს რწმუნებულმა ბ. გრიგოლაშვილს ოქმი შეუდგინა და გადასცა სასამართლოს, რომლის ასლიც გადაუგზავნა შრომის სამინისტროს. იმედია სასამართლო მიაქცევს ყურადღებას ამ საქმეს და ბ. გრიგორაშვილს შესაფერ სასჯელს მიუსჯის მუშათა აბუჩად აგდებისათვის და დაუდევრობისათვის.

მუშების ბინების გაუმჯობესებას მარტო მუშებისთვის კი არ აქვს მნიშვნელობა, როგორც ამას მწარმოებლები უყურებენ, არამედ თვით წარმოებისათვისაც ყველასათვის ცხადია, რომ დღეს ჩვენში შრომის ნაყოფიერება დაცემულია და ამას დიდი გავლენა აქვს ჩვენი რესპუბლიკის წარმოების განვითარებაზე და პოლიტიკურ მდგომარეობაზედაც. მუშა ყოველთვის მეტს იმუშავებს, როცა ის ხეირიან ბინაში და უკეთეს მდგომარეობაში იქნება, ამასთანავე ის მუშები, რომლებიც უბინაობის გამო იძულებულნი არიან 10—5 ვერსის მანძილზე იარონ სოფლებში, რა თქმა უნდა ძლიერ იღალებიან და რიგიანათ ვეღარ მუშაობენ. ეს გარემოებაც თვალსაჩინო უნდა იყოს მგონი მწარმოებლებისთვის და ამიტომ არის კომერციაში გამოცდილმა კაპიტალისტებმა როგორიც არიან „ფორეულის ამხანაგობა" „გელიზენკირხენის ამხ" და სხვ. ადრე მიაქციეს ამ გარემოებას ყურადღება და მუშებისთვის აგებული ჰქონდათ მშვენიერი ბინები, ეხლა იმათი ბინებიც შესაკეთებელი და გასაუმჯობესებელია, რასაც ეს ფირმები ადვილათ შესძლებენ როგორც კი წარმოებას დაიწყებენ.

ვ ხიდ.

პროვინცია

ეკის თემი, (სენაკის მაზრა). ეს ერთი ხანია, რაც ეკის თემში საადგილმამულო კომისია მუშაობს, მაგრამ მამულების მიღება საესებით ჯერაც არაა დამთავრებული. დარჩა წვრილი მემამულენი და სწორედ ამ დროს კომისია გადაყვანილ იქნა სამუშაოდ სხვაგან.

საფონდო ადგილების დამმუშავებელთ მოსავლის ერთი მეოთხედი უნდა მიეცათ სახელმწიფოსათვის. მაგრამ ზოგიერთა ყოფილ მემამულეებმა ისარგებლეს, ალბათ, იმ გარემოებით, რომ აქეთ უგზოობის გამო მთავრობის წარმომადგენელნი ნაკლებათ დადიან და გაავრცელეს ხმა: „მემამულეებს ჩამორთმეული ადგილები ისევ დაუბრუნდათ და ღალასაც უკლებლივ მიიღებენო". მართლაც, ჩვენ მოწმე გავხდით იმისა, რომ ერასტო ქვანიამ, დუტუ ნინუამ და ჯოლოიებმა მათგან ჩამორთმეული ადგილებიდან ღალა ჩაიბარეს მუშებისაგან და გაიგეს სასიმინდე.

ამ გარემოებას მიუღწევია სენაკის სამაზრო ერობის აგრარული რეფორმათა განყოფილებამდე, რომელმაც გამოგზავნა ამ საქმის შესახებ რწმუნებული. გაიგეს რა რწმუნებულის ჩამოსვლა, ზოგიერთი ღალის მიღებენი გადამალეს, ზოგიერთი კი გაიქცა სენაკში „ცოდვების მოსანანიებლად". მაგრამ რწმუნებულს მათთვის აღარ დაუცდია. მან მილიციის საშუალებით ყველა მუშებს დაუბრუნა ის სიმინდი, რომელიც მათ საფონდო ადგილებიდან მემამულეებმა ჩამოართვეს.

ჩვენის აზრით, აქ ყოფილი მემამულენი არ არიან დამნაშავე იმდენად, რამდენადაც თემის გამგეობა. თემის გამგეობა ვალდებულია კანონები დაიცვას ადგილობრივად და გაატაროს იგი ცხოვრებაში. მაგრამ ნაცვლად ამისა წინააღმდეგს ვხედავთ და საკვირველია, რომ ეკის თემის გამგეობა, რომელიც ხალხის ნდობით არის აღჭურვილი, ხალხისავე კანონს უკუღმა იგებს და სწყვეტს სრულიად შეუსაბამოდ.

იმედი.

ქობულეთი. ამ ბოლო დროს ქობულეთსაც დაეტყო გამოცხოვლება, ხალხი თანდათან მოდის ჭკუაზე და ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში დგება. ხალხმა საკმაოდ იგემა ყოველ ჯურის ავანტიურისტების მოტყუილება და მათ ბადეში გაბმა. ყველაზე მნიშვნელოვანი არის დამფუძნებელი კრების წევრის ი. რამიშვილის მოგზაურობა ჩვენს კუთხეში. ქართველი მუსულმანები დიდის ყურადღებით უსმენენ მას თვითეულ სიტყვას და თვითეულ კრებაზე აურაცხელი ხალხი ესწრება. ხალხი ხალისით და ალტაცებით ირჩევს თემის კომისარს და აკეთებს სხვა მრავალ საქმეებს, რომლისკენაც მოუწოდებს მას ამხ. ისიდორე.

აქ მოეწყო პარტიული მუშაობაც, გაიხსნა ს. ს.-დ. მ. პარტიის ბიურო, მოეწყო ყველა სოფლებში იაჩეიკები. ხალხის უმრავლესობა გამოსთქვამს სურვილს ჩვენს პარტიაში ჩაწერისას. ჯერჯერობით ორგანიზაციაში 300 წევრი ითვლება. ამხ. ისიდორემ სამჯერ გააკეთა მოხსენება პარტიაში, რომლითაც კმაყოფილი დარჩნენ პარტიის წევრები და სთხოვეს, რომ კიდევ ერთხანს დარჩენილიყო ჩვენში და ემუშავა პარტიაში. სწავლა-განათლების საქმეც მოეწყო, მაგრამ არ შეიძლება არ ვუსაყვედუროთ ზოგიერთ მასწავლებლებს, რომელნიც თავიანთ მოვალეობას ვ წრეთ უცქერიან. მეტათ დიდი მოვალეობა აწევს ამ კუთხეში ყველა მოსამსახურეებს და განსაკუთრებით მასწავლებლებზე—უფრო მეტი, ვიდრე ეს არის რესპუბლიკის სხვა რომელიმე კუთხეში. აქ იყო ასეთი შემთხვევა: ქობულ. პირველ დაწყებით უმაღლეს სასწავლებელში საჭირო იყო მასწავლებელი. ერთ-ერთ მასწავლებელთაგანმა გამოსთქვა სურვილი წასვლისა; მაგრამ, რაკი მან თავისი კერძო ცხოვრება ვერ მოაწყო,—ადგა და წავიდა. და დღეს მოწაფეები უმასწავლებლოთ არიან დარჩენილნი. ასეთ მოვლენას საქმისთვის ზიანი მოაქვს და საჭიროა, შემდეგშიაც არ განმეორდეს ასეთი რამ.

აქ არსებობს კოოპერატივი, რომელიც დიდ სამსახურს უწევს საზოგადოებას და საზოგადოებაც მას დიდათ აფასებს. ამ კოოპერატივის დიდ დახმარებას და ხელმძღვანელობას უწევს ცეკავშირი. კოოპერატივის გამგეობამ დაადგინა გაიხსნას კოოპერატივები ყოველ სოფელში, სადაც ეს შესაძლებელი იქნება; ამისთვის დახმარება სთხოვა სესხის სახით ბათომში მყოფ მთავრობის რწმუნებულს, რომელმაც აღუთქვა სესხის მიცემა; სესხი მიეცემა ცეკავშირს, რომელიც შეიძენს საჭირო საქონელს და გადასცემს კოოპერატივს. ხალხი ეხლა დიდი ნდობით და პატივისცემით უყურებს საქართველოს მთავრობას და გამოსთქვამს მისდამი სრულ თანაგრძნობასა და მორჩილებას.

ხასუმ ეფენდი.

უხუთის თემი. (ქუთ. მაზ.) წელს ამ თემში ჰირნახულის შენახვა ძლიერ დაგვიანდა. გაწუწმებულმა წვიმებმა თითქმის სულ დაალპო ყველაფერი. სიმინდის მოსავალი ძალზე ცოტაა, მაგრამ რაც არის, ისიც ვერ შეუნახავთ, ვინაიდან აქ უკვე თოვლი არის და გლეხებს ხელს უშლის ჰირნახულის შენახვაში. სიმინდს დასაფქვავათ ცეცხლზე აშრობენ, ღვინის მოსავალი თითქმის სულ არ არის; ხეებზე მოუკრეფელი დარჩა ყურძენი. მაგრამ ღვინის მოუსავლობას მარტო წვიმებს ვერ დავაბრალებთ: ყურძენი ბევრი უწამლობით გაფუჭდა. ეს მიეწერება ზოგიერთ პირების მუშაობას, რომლებიც არწმუნებდენ შეუგნებელ გლეხებს, რომ მოწამლვა ვენახს არ უნდა. საჭიროა ამას ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს ადგილობრივმა ერობამ.

ბარნაბა ხურციძე.

წერილი რედ. მიმართ

ნება მიბოძეთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოუცხადოთ საქართველოს კოოპერატივთა ცენტრ. კავშირის გამგეობას, რომელმაც შემოსწირა ტფილისის სადარეჯო ათასეულის კულტურულ წრეს 7,435 მანეთის საკოოპერაციო წიგნები და სახელმძღვანელოები მოწინავე ჯარისკაცთა სკოლისათვის.

ათასეულის კულტურულ მუშაობის ინსტრუქტორ-ოფიცერი ვ გორგაძე, მასწავლებელი ბ. კალანდარიშვილი.

რედაქტორი ლუკა ნათაძე.

განცხადებანი

უოფ. გიმნაზიის გამგე და დამაარსებელი
ი. მ. მაჩაიძე
მათემატიკის მასწავლებელი
იღებს მოწაფეებს მოსამზადებლად ყველა სასწავლებელში და მოწმობაზე 9—12 ს, 4—6 ს. პლეხანოვის ქ. 25 (ალექსის ქუჩის კუთხიდან შესავალი. (3865 2—2)

დაიკარგა
მატრიკული (სალექციო წიგნაკი) მნახველს გთხოვთ დამიბრუნოთ ბელინსკის ქ. ნომერი 19
კაიოზ კოპლატაძე.
(3875—1—1)

ექიმი ა. დ. კეკელია
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული და კანის სნეულებანი. ავათმყოფების მიღება: ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 5—7 ს. მისამართი: მიხეილის პრ. № 116, სასტუმრო „ნოე" პირდაპირ. ტელეფონი 14—28. 3 იანვ.

ქალი ექიმი
მარიამ ლუკას ასული
თოფურიძე პანიევი
იღებს სამეანო და ქალის სნეულებიან ავათმყოფებს ყოველ დღე საღამოს 4—6 საათ. ველიამინოვის ქ. № 10, ტელეფ 12—66. (2 იანვ.)

კერძო
სამკურნალო
სპეციალურად ვენერიულ, საშარდე ორგანოების, სიფილისით და კანის სნეულებით ავადმყოფთათვის
ექიმ
ე. მ. მძინარიშვილისა
შეშხაპუნება „606" და „914".
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე 9—2 ს. და საღ. 4—8 ს. მისამართი—კუთხე პლეხანოვის (მიხეილის) პროსპექტისა კირკის (კიროჩნი) ქუჩ. № 22. ტელეფ. 10—87. (28 დეკ.)

ექიმი
ი. ვ. ხანდამოვი
სპეციალურად სიფილისი („914" „606" შეშხაპუნება) კანის, [illegible] და ვენერიულის და საშარდო-სასქესო [illegible] ავათმყოფობანი [illegible] და საღამოს [illegible] დილის 12—2 ს. [illegible]—8 ს. საპორის ქ. № 35 [illegible]ტროთა შენობის ახლო (ყოფილი კადეტთა კორპუსი). (1 იანვ.)

ა. ზ. ვართანოვი
სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606" და „914" შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. ქალები 2—3 ს. სურამის ქ. № 9, ვეგზლის ქუჩის კუთხე რკინის გზის საავადმყოფოს პირდაპირ. (23—დეკ.)

ექიმი
ა. ს. ვადაჭკორია
იღებს ქალისა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს დილ 12—2 ს. საღამოს 4—6 ს. ოლღის ქუჩა № 35.
(18—დეკ.)

ექიმი მ. ა. შაფრანი
სპეციალურად სიფილისი და შარდის [illegible] (შეშხაპუნება „606" და „914" ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალებს 4—5 [illegible] ქ. № 33. (21 დეკ.)

ექიმი
ა. ლევენშტეინი
შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი (სპეც. ფილტვების, გულის და კუჭნაწლავების ავადმყ.) რენტგენის და ელექტრონული კაბინეტი. კრილოვის ქ. ახ. № 5, გოლოვინისა, ბინა № 3, მიღება დილის 11—12 საათ. და საღ. 4—7 საათ. ტელეფონი 12—46.
12—დეკ.

ექიმი
ნიკოლოზ მახვილაძე
განაახლა შინაგან სნეულებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზუბალოვის აფთიაქის მახლობლად.
ტრამვაი № 1, 2, 5 და 9 (3—დეკ.

ექიმი
გ. ი. ოქროპირიძე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდე. [illegible] ქ. № 23, [illegible]

დოქტორი მედიცინისა
ვ. პ. მოსეშვილი
დაბრუნდა ტფილისში და განაახლა შინაგან ორგანოთა და ნერვების სნეულებით ავადმყოფების მიღება საღამოს 4—8 საათამდე. გიორგის ქუჩა, № 5, ალექსანდრეს ბაღთან ქვაშვეთის ეკლესიის ახლოს. (4—დეკ.)

ექიმი
ი. ა. ტერ-ავაკუმოვი
გადავიდა კირკის ქუჩაზე № 49, მიხეილის პრ № 23. ვორონცოვის ძეგლის ახლოს და განაახლა ავადმყოფების მიღება. სპეციალურად სიფილისი, ვენერიული (მწვავე და ხრონიკული ტრიპერი) და კანის ავათმყ. „606" და 914" შეშხაპუნება. მიღება დილის 11—12 საათ. საღამოს 6—8. ქალების საღამოს 5—6 საათ. (13 დეკ.)

ქირურგიული და ქალთა სნეულებების
საავათმყოფო
სამშობიარო განყოფილებით ექიმის
ბოკერიასი
პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. № 141, პრ. ცეკტორ „აპოლოს" მახლობლად ტელეფ № 5—97 დასაწოლ ავათმყოფებს და ფეხმძიმე ქალებს იღებენ ყოველ დროს სრული პანსიონით. (28—დეკ.)

მედიცინის დოქტორი
ა. ა. მონსე
განაახლა მიღება ნერვიულ და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთა ბავშვების და დიდების. ელექტრო-რენტგენის კაბინეტი გაიხსნა. მიღება: დილის 10 1/2—1 საათამდე, საღამოს 6—7 ს. კვირა დღის გარდა. მიხეილის პრ. № 111. ტელეფონი 13—42 (3—დეკ.)

ექიმი
რეზო მაჩაბელი
კანისა და ვენერიული სნეულებანი (წამლობა ახალი და ძველი სუსუნატის) სიფილისი (606—914 შეშხაპუნება) ავადმყოფებს იღებს კაცებს 9—11 ს. დილ. და 6—8 ს. საღ. ქალებს 11—12 ს. დღის. მოსკოვის ქუჩა № 4, ზუბალოვის აფთიაქის პირდაპირ. 12—დეკ.

ექიმი
ნ. ა. არუთინოვი
სპეციალურად სიფილისი (606 და 914) ვენერიული (ტრიპერი), სქესობრივი უძლურობა ნეიროზები (საშარდე მილის). ახალი-ბებუთოვის ქ. № 8. სასახლეს უკან, პეტრე დიდის ქ. ზევით. (ვორონცოვის). მიღება დილით 10 11 ნახ. ს საღ. 5 7 საათამდე. 13—დეკ.

დოქტორი
გ. გ. მეგრაბ[illegible]ანცი
შინაგანი ავადმყოფ[illegible] [illegible]—ხელქი და გულის. იღებს [illegible] რენტგენ-ელექტრო კაბინეტ[illegible] გამოკვლევა და წამლობა [illegible] ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. —92, მიღება ყოველ დღე 9—12 ს. და საღამოს 6—8 საათამდე.
11 დეკ.

კბილის ექიმი
ე. ტ. ღორის-მელიქოვი
ჯიბლაძისა
ღებულობს კბილის ტკივილით ავათმყოფებს საღამოს 4—6 საათამდე, ანასტასიევის ქუჩა № 13, ტელეფონი 3—63

სამკურნალო
ელექტრონის, რენტგენის და სინათლის
მიხეილ გედევანიშვილისა
დღისით 12—2 საათ., საღ. 6—8 საათ. [illegible], ყარანოვის ქ., 23, ტელეფ. 7—91 (1—იანვ.)

[illegible] სტამბა ერთობის ქუჩა № 4